F-567
1965.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს
თეატრალური
საზოგადოების
ჟურნალი

3 1965

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს თეატრალური საზოგადოების მოამბე

№ 3 (32)

F-2935

19 თბილისი 65

ი. ჭავჭავაძის სახ. ხელ. საბჭოთა
ეროვნული
ბიბლიოთეკა
თბილისი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რედაქტორი — **შალვა აფხაიძე**

საredakcio კოლეგია: დ. ანთაძე, შ. აფხაიძე, ვ. გოძიაშვილი, ნ. გურაბანიძე, ო. ეგაძე, დ. მჭედლიძე, ბ. ჟღენტი, ნ. შვანგირაძე, გ. ციციშვილი, ა. ხორავა, დ. ჯანელიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალი თეატრალური

სეზონი

ჩვენს თეატრში უკვე აიხადა ფარდა. ახალი სეზონი დაიწყო. მაყურებელი უკვე იცნობს თეატრის საორგანიზაციო გეგმებს, რომელი თეატრი რის დადგმას გვპირდება. საგულისხმოა, მათ რეპერტუარში (რეპერტუარი კი ძირითადად თეატრის პოლიტიკას, შემოქმედებით სახეს განსაზღვრავს) მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი ეროვნულ დრამატურგიას. თანამედროვეობის ამსახველ პიესებს. შეიძლება ითქვას, რომ ჩვენს თეატრებს, რომლებმაც უნდა შექმნას ღრმაშინაარსიანი სპექტაკლები. ჩაუნერგოს ხალხს კომუნისტური შეგნება. გადაიქცეს მოწინავე იდეების ტრიბუნად, მიმდინარე სეზონში განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ეკისრება.

როგორც ცნობილია, 1966 წლის სექტემბერში ჩვენი ხალხი და მასთან ერთად მთელი მოწინავე კაცობრიობა. ქართველი ხალხის დიდების, გენიოსი პოეტის, დიდი ჰუმანისტის შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავს იხდის.

მთელი ჩვენი ხალხის სულიერი ენერგია იქითკენ არის მიმართული. რომ ეს თარიღი ღირსეულად იქნეს აღნიშნული, მასში მთელი ჩვენი სსსიკოცხლო ძალები და, მათ შორის, თეატრები ჩავაბათ. ამ ღირსშესანიშნავი თარიღის ღირსეულად აღნიშვნით ჩვენი ხალხის სიამაყეს ვამყღავნებთ. ჩვენი კულტურის ძლიერებას ვაჩენთ. თეატრები უკვე შეუდგნენ სათანადო მუშაობას, დაამყარეს კონტაქტი დრამატურგებთან. მათი წმინდა მოვალეობაა შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავის ზეიმი ისე გადაიხადონ, როგორც ერის დიდებას ეკადრება.

მოაზლოებულია აგრეთვე ორი ღირსშესანიშნავი თარიღი: ოქტომბრის რევოლუციის 50 წლისთავი და ამ რევოლუციის მებაირახტრის დიდი ლენინის დაბადების 100 წლისთავი. მთელი საბჭოთა კავშირის ხალხები და მსოფლიოს დემოკრატიული საზოგადოებრიობა დაძაბული ენერგიით ემზადება ამ მნიშვნელოვანი ისტორიული თარიღების აღსანიშნავად. ამ მხრივაც ჩვენში უკვე გაშლილია მუშაობა.

თეატრები მრავალ ახალსა და საყურადღებოს გვპირდებიან. ბევრ დრამატურგთან უკვე დადებულია ხელშეკრულება. ხშირად თეატრს ვუსაყვედურებთ ხოლმე, თქვენი რეპერტუარი ღარიბია ორიგინალური პიესებითო. მაშინ, როდესაც ეროვნული თეატრის მთავარი მასაზრდოებელი სწორედ ორიგინალური დრამატურგიაა. მაგრამ ამასთან ხშირად ანგარიში შექმნილ მდგომარეობასაც უნდა გავუწიოთ და თეატრს მოვხსნათ ბრალდება — თითქოსდა უყურადღებობა ორიგინალური პიესებისადმი. ამა თუ იმ თეატრს თავისი შემოქმედებითი სახე აქვს (უნდა ჰქონდეს ყოველ შემთხვევაში) და შეიძლება ესა თუ ის შედარებით კარგი პიესა შეეფერებოდეს მის ბუნებას. ასევა თუ ისე თეატრებმა მაინც უნდა იბრძოლონ ორიგინალური დრამატურგიისათვის. ისეთი პიესებისათვის, რომლებშიც ფართოდ იქნება გაშუქებული ოქტომბრის რევოლუციის ისტორიული მნიშვნელობა. ამ მხრივ დრამატურგს და თეატრს უფრო ფართო პერსპექტივა აქვს წინ გაშლილი. მისი თემატიკა შეუზღუდველია.

დრამატურგს შეუძლია მაყურებლის წინაშე გააცოცხლოს სამოქალაქო ომის დაძაბული წლები, დაწყებული მშვიდობიანი მშენებლობა, კოლექტივიზაციისა და ინდუსტრიალიზაციის შესანიშნავი წლები. სამამულო ომი, შემდგომი მშვიდობიანი მშენებლობა და ჩვენი დღევანდელობა, თავისი დიდი ამოცანებითა და მასშტაბებით. ერთი სიტყვით. თეატრებს ამ მხრივ დიდი გასაჭანი ეძლევა, ოღონდ ყველა ეს მოვლენა დიდი ოქტომბრის შუქით უნდა იყოს განათებული. აღნიშნული თემა იმდენად მიმზიდველი და წამახალისებელია. რომ ეჭვი არ გვეპარება ამ თემაზე მრავალი პიესა შეიქმნება. ჩვენი თეატრების ეროვნული მოვალეობაა მტკიცე შემოქმედებითი კავშირი დაამყარონ ქართველ დრამატურგებთან.

პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ჩვენ სიძნე-

ლეს თვით თეატრალურ კოლექტივებისა და რეჟისურის მხრივ კი არ განვიცდით, არამედ კარგი პიესების უქონლობის გამო. ეს ნათელჰყო თუნდაც მარჯანიშვილის სახელობის თეატრში პოლიკარპე კაკაბაძის შესანიშნავი პიესის „კახაბერის ხმლის“ დადგმამ. ფართო ადგილი დაუთმო აგრეთვე თავის სცენაზე ორიგინალურ დრამატურგიას ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის თეატრმა და სხვ.

ასეთივე დიდი პასუხისმგებლობა აწევს თეატრებს დიდი ლენინის დაბადების 100 წლისთავის აღნიშვნის საქმეში. ოქტომბრის რევოლუციის სულისჩამდგმელი დიდი ლენინია. მან დარაზმა მუშათა კლასი და წაიყვანა შეტევაზე ძველი სამყაროს წინააღმდეგ. ეს დიდი თარიღი თეატრებმა ღირსეულად უნდა აღნიშნონ. თეატრები მოვალენი არიან გააშუქონ სხვა საკითხებიც, რომლებსაც დღევანდელი დღე, ჩვენი მდიდარი სინამდვილე აყენებს. ცხადია, ისინი ვერ აუვლიან გვერდს აგრეთვე უცხოურ პროგრესულ დრამატურგიას, რუსულ საბჭოთა და კლასიკურ დრამატურგიას.

როგორც ფრიად დადებითი მოვლენა, ღირსეულად აღინიშნოს მაგალითად წასულ სეზონში რუსთაველის სახელობის თეატრის მიერ დადგმული ა. მილერის პიესა „სეილემის პროცესი“. სპექტაკლმა აურადღება მიიქცია როგორც დადგმით, ისე მსახიობთა თამაშით. სამწუხაროდ, ამ თეატრის რეპერტუარი ღარიბი იყო ორიგინალური პიესებით. მთელ სეზონში მხოლოდ ერთი ორიგინალური პიესა დადგა. ეს იყო თამაზ ჭილაძის „აქვარიუმი“. რომელიც საკმაოდ მტკივნეულ და ჩვენი საზოგადოებისათვის ახლობელ საკითხს შეეხება. ეს პიესა ავტორის პირველი ცდაა დრამატურგიაში. ეს არის მიზეზი მისი ზოგიერთი ნაკლისა. თეატრმა კარგი ნაბიჯი გადადგა: პიესა დადგა და ავტორი წაახალისა.

იმედია, ახალი სეზონი მეტ სიცხოველეს შეიტანს ჩვენი თეატრების ცხოვრებაში. ვიხილავთ ახალ მაღალიდეურ და მაღალმხატვრულ ორიგინალურ პიესებზე შექმნილ სპექტაკლებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისში ჩამოსული სტუმრები

საქართველოს თეატრალური საზოგადოების შეხვედრა ლადო მესხიშვილის სახელობის თეატრის კოლექტივთან

საქართველოს თეატრალურ საზოგადოებაში ტრადიციად იქცა საგასტროლოდ ჩამოსულ თეატრალურ კოლექტივებთან შეხვედრები.

საზოგადოების მიზანია აღნიშნოს თეატრის მუშაკების დადებითი მხარეები და მეგობრულად იქნეს გაკრიტიკებული ნაკლოვანებები.

სწორედ ასეთი ტრადიციული შეხვედრა მოეწყო 1965 წლის 2 ივლისს საქართველოს თეატრალურ საზოგადოებაში ლადო მესხიშვილის სახელობის თეატრის კოლექტივთან. თეატრის ჩამოსვლის პირველივე დღიდან გამოიყო შემოქმედებითი ბრიგადა საგასტროლო სპექტაკლებზე დასასწრებლად. ბრიგადაში შედიოდნენ რეჟისორები, ხელოვნებათმცოდნენი, მსახიობები, თეატრმცოდნენი, კრიტიკოსები. მათ გამოთქვეს აზრი ქუთაისის თეატრის მუშაობისა და მდგომარეობის შესახებ.

როცა ლაპარაკია ქუთაისის თეატრზე, — თქვა თეატრმცოდნე ვასილ კიკნაძემ, — უნდა აღვნიშნოთ, რომ ქუთაისი დიდი ტრადიციების ქალაქია. აქ ჯერ კიდევ 1905 წლიდან ,ლადო მესხიშვილი და კოტე მარჯანიშვილი მოღვაწეობდნენ. ამ პერიოდიდან ქუთაისმა ისეთი დიდი თეატრალური ავტორიტეტი შექმნა ჩვენს სულიერ ცხოვრებაში, რომ ქუთაისის თეატრალური ცხოვრება ტონის მიმცემი იყო მთელ თეატრალურ აზროვნებაში. ამიტომ, ბუნებრივია, იბადება კითხვა: რამდენად შეძლო თეატრმა შეენარჩუნებინა და განვითარებინა სახე, რომელიც მას ჰქონდა. როგორ ახერხებს თეატრი ამ სახის დაცვას და რამდენად შესწევს ძალა უპასუხოს იმ მოთხოვნებს, რომლებსაც თანამედროვე თეატრს ვუყენებთ.

ქუთაისის თეატრი გაბედულად სდგამს თანამედროვე პიესებს. ზოგჯერ ექსპერიმენტებსაც არ ერიდება. ეს პოზიცია მაჩვენებელია თეატრის ჯანსაღი საწყისებისა. იგი ამავე დროს არის იმ ტრადიციის გაგრძელება, რომელიც ათეული წლების წინთ მესხიშვილის მიერ იყო დაწყებული; როგორც ცნობილია, ლადო მესხიშვილი ფართოდ უღებდა კარს ქართული სინამდვილის ამსახველ პიესებს.

თეატრი არ ზღუდავს თავის რეპერტუარს. არ იკეტება მხოლოდ ეროვნულით და ცდილობს ფართო გზა გაუხსნას კლასიკას, კლასიკის დადგმას ის მნიშვნელობა აქვს, რომ ხელს უწყობს მსახიობის ოსტატობის ზრდას. ამასთან მაყურებლისათვის სასიამოვნოა სცენაზე კლასიკური დრამატურგიის ნიმუშის ნახვა.

დაამთავრა რა თავისი გამოსვლა, ვასილ კიკნაძემ, სთქვა: მას შემდეგ, რაც ლადო მესხიშვილის სახელობის თეატრი ჩვენთან იყო 5 წელი გავიდა, ამ ხნის განმავლობაში თეატრი, მთელი მისი კოლექტივი უფრო წინ წასულა.

სანდრო ახმეტელის აზრით, ყველაზე კარგი შემოქმედი კოლექტივი, კარგი თეატრი ის არის, რომელიც უფრო მეტად ასახავს თავის თანამედროვე ცხოვრებას. ეს ამოცანა თეატრმა წარმატებით განახორციელა. ეს კარგად ჩანს იმ 9 სპექტაკლიდან, რომელიც ჩვენთან საგასტროლოდ ჩამოიტანეს.

თეატრმა დაამტკიცა, რომ იგი კარგად მუშაობს. მისი შინაარსიანი მუშაობა არის შესანიშნავი დადასტურება, იმისა, რომ თუ ფორმა და შინაარსი მთლიანობაშია, ყველა ის ნაკლი, რომელიც შეიძლება ჰქონდეს, ახლო მომავალში გამოსწორდება.

ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის

ეროვნული ბიბლიოთეკა

თეატრის საგასტროლო რეპერტუარში, — თქვა თეატრმცოდნე ნათელა ურუშაძემ, — 9 დასახელებიდან 6 ქართული, ეროვნული სპექტაკლია. ეს იმაზე მეტყველებს. თუ რამდენად სეროიზულად არის დაყენებული ძიების საქმე ქუთაისის თეატრში. ეს კი ყველა თეატრისათვის არ არის დამახასიათებელი.

პიესები, რომლებიც ქუთაისის თეატრმა ჩამოიტანა. ერთმანეთისაგან განსხვავდება. როგორც ხარისხით. ისე ხასიათით. მსახიობთა შესრულებით და სხვა თვალსაზრისით. მიუხედავად ხარისხობრივი და თვისობრივი განსხვავებისა. თეატრს აქვს თავისი სახე. თავისი მიმართულება.

აკაკი ვასაძეს. როგორც რეჟისორს. ბევრი სპექტაკლი დაუდგამს თბილისში და ქუთაისში. მას ყოველ წარმოდგენას მუდამ ჰქონდა სპეციფიკური იერი. განსაკუთრებული შეგრძნება გმირთა შინაგანი ცხოვრებისა. რიტმი. რომელიც არასოდეს არ ღალატობს მას. სპექტაკლში ყველა კომპონენტი მთლიანია და შედუღებული. ეს მისი თვისებაა. რაც სხვა რეჟისორების სპექტაკლებშიც ეგრძნობა. თეატრში არის ახალგაზრდა თაობა მსახიობებისა. რეჟისორებისა. მაგრამ ყველაფერს ატყვია სამხატვრო ხელმძღვანელისა და შესანიშნავი შემოქმედის აკაკი ვასაძის ინიციატივა. უნარი. მუშაობის სტილი.

ქართულ თეატრს დიდი ტრადიცია აქვს და მე არ მახსოვს ისეთი პერიოდი ამ თეატრის შემოქმედებისა. საინტერესო რომ არ ყოფილიყოს მუშაობის შედეგები. მსახიობებით. შემოქმედი ძალებით. უკანასკნელ ხანებში უფრო კარგად გამოჩნდა ამ თეატრის შემოქმედებითი პოტენცია. მისი დიდი მხატვრული ღირსება და სხვა მხარეები. მე. — განაგრძობს ნათელა ურუშაძე. — 9 საგასტროლო სპექტაკლიდან 5 სპექტაკლს დავესწარი. ესენია „მედეა“. „როცა სიყვარული მოვა“. „ვარსკვლავიდან ჩამოსული კაცი“. ამ სპექტაკლებიდან. სამწუხაროდ. მე ისეთი შთაბეჭდილება მრჩება. რომ ქუთაისის თეატრის მხატვრული გაფორმება ჯერ კიდევ ვერც სარეპერტუარო გზას უტოლდება და ვერც მსახიობთა შემოქმედებას.

სპექტაკლების მხატვრული გაფორმება მხარს ვერ უბამს მთელ მთლიანობას. თუ „რაჩარდ მესამეში“ ლაპიშვილის მიერ მიგნებულია ძირითადი ატმოსფერო მომხდარი ამბისა. მოქმედებას გასდევს სისხლის ფერი და სხვა. „მედეაში“ გაუგებარია რას გამოხატავს ჭადრაკოვანი დანაყოფები. ვფიქრობ. ალბათ გაუგებარია სპექტაკლ „ვარსკვლავიდან ჩამოსული კაცის“ გაფორმება. პიესაში „როცა სიყვარული მოვა“ ავტორი გვეუბნება. თუ რა ძალა აქვს სიყვარულს ადამიანის ცხოვრებაში და. რაცა მოვა. რამდენი რამ შეუძლია. სცენაზე დგას საბარგო მანქანა. საბარგო მანქანის გვერდით დგას პირობითი ხე და პირობითი მხატვრული პეიზაჟი. ეს შეუსაბამობაა. საერთოდ. ამ სპექტაკლში ბევრი რამ არის საინტერესო. მაგრამ ეს მხატვრული ქსოვილი ორ არის ისეთი. როგორც შეეფერება ლიტერატურულ ქსოვილს.

მე მინდა ჩემი გამოსვლა იმით დავამთავრო. თქვა ნათელა ურუშაძემ. რომ ქუთაისის თეატრს ატყვია წამყვანი რეჟისორის ხელი. მისი შესანიშნავი შემოქმედების სტილი. ყველა დადგმიდან ჩანს. რომ ეს არის აკაკი ვასაძის სკოლა. სწორედ ამ რეჟისორზე ყველაზე მეტი არის სათქმელი. გასაოცარია ის ამბავი. რომ დიდმა შემოქმედებითმა გზამ ა. ვასაძე კი არ გამოფიტა და დაამერა. არამედ. პირიქით. დაგვანახა. რომ ამ შემოქმედს კიდევა აქვს უნარი ითამაშოს კიდეც და თავისი შემოქმედების მაქსიმუმიც გამოამჟღავნოს. მე სწორედ ასეთი შთაბეჭდილება დამრჩა. როდესაც ვუყურებდი მსახიობს რიჩარდ მესამის როლში. აკაკი ვასაძე გვაოცებს დიდი წვიფ. დიდი ერუდიციით და ძალით. დიდი შემოქმედებითი ოსტატობით. მსახიობის ხმა ისევ ახალგაზრდულია. აკაკი ვასაძეს კიდევ დიდი სამსახურის გაწევა შეუძლია ჩვენი მაყურებლისათვის.

სიტყვა წარმოსთქვა აგრეთვე. ცნობილმა კრიტიკოსმა ბესარიონ ჟღენტმა. რომელმაც სთქვა: ქუთაისის თეატრის გასტროლებიდან შეგვიძლია გამოვიტანოთ დასკვნა. რომ ეს თეატრი ეროვნული მასშტაბის დიდი თეატრია. რომელიც გვერდში უდგას ჩვენი დედაქალაქის ორ უმთავრეს თეატრს იმ დიდ ბრძოლაში. რომელიც წარმოებს ქართული საბჭოთა ხელოვნებისა და კულტურის ახალი დიდი წარმატებისთვის.

ჩვენ თეატი და ხელოვნება იმიტომ გვინდა. რომ ამათრახებდეს მანკიერ მხარეებს. ჩვენ ხელოვნება და მწერლობა ხალხის აღზრდისათვის გვინდა. თეატრმა ადამიანი ეროვნული შეგნებით. ჰუმანიზმით. საუკეთესო ჩვეულებით უნდა აღზარდოს.

ქუთაისის თეატრის გასტროლები იმას ნიშნავს. რომ იგი დღევანდელი ცხოვრების ხაზ-

ზე დგას. „ცხოვრების ჯარა“ ყოველმხრივ მოწიფული სპექტაკლია. თეატრმა გზა მისცა ქართულ რეპერტუარს. პოლიკარპე კაკაბაძე ოთხი პიესის ავტორია. ორი მათგანი კი ამ თეატრში იდგმება. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს. რაც შეეხება სპექტაკლს „რიჩარდ მესამეს“. მთელი გულწრფელობით უნდა ვთქვა. რომ ეს არის დიდი სპექტაკლი. დიდ პროფესიულ დონეზე დადგმული. ქართული საბჭოთა თეატრის ერა იწყება „ფუენტე ოვეხუნა-თი“. მას მოჰყვება „ჰამლეტი“. „ყაჩაღები“. „ოტელო“. „რიჩარდ მესამე“. ერთ-ერთი შესანიშნავი მიღწევაა ქართული თეატრისა „რიჩარდ მესამე“. ამ დადგმაში შესანიშნავია მხატვრობა (მხატვარი ფ. ლაპიაშვილი) დეკორაციისა და მუსიკის მხრივაც ეს სპექტაკლი მაღალ პროფესიულ დონეზე დგას. იგი ქართული საბჭოთა თეატრის მიერ თანამედროვე თვალით არის წაკითხული.

ჩვენმა ძვირფასმა მეგობარმა აკაკი ვასაძემ ამ ნამუშევრით ერთხელ კიდევ გვიჩვენა, რომ იგი მარჯანიშვილთან, ახმეტელთან და ხორავასთან ერთად აღზრდილია ქართულ თეატრში. დიდ შემოქმედს ხანი არა აქვს. იგი ყოველთვის ყოველისშემძლე. ახალგაზრდა და სისხლსავსეა.

ჩვენ თეატრის კოლექტივის თითოეული წევრისაგან დიდ შემოქმედებით ტანჯვას. დიდ ენერგიის ხარჯვას მოველით და ყველამ უნდა იბრძოლოს იმისათვის. რომ ამ თეატრის მავალშიც კიდევ დადგას ისეთი სპექტაკლები. როგორიც არის „ცხოვრების ჯარა“ და „რიჩარდ მესამე“. თბილისელი მაყურებელი დიდი სიხარულითა და მოწონებით მიესალმება ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი უძველესი კერის ქუთაისის თეატრის გასტროლებს.

კამათში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე რეჟისორმა მიხეილ გიეიმყრელმა, თეატრმცოდნე ალეკო შალუტაშვილმა, დრამატურგმა იოსა ვაკელმა. თეატრმცოდნე ნინო შვანგირაძემ, დრამატურგმა ლევან მილორავამ. ხელოვნებათმცოდნე ანტონ წულუკიძემ.

საბოლოო სიტყვა წარმოთქვა სსრკ სახალხო არტისტმა აკაკი ვასაძემ, რომელშაც მადლობა გადაუხადა საზოგადოებრიობას გულისსმიერი და საინტერესო შეხვედრისათვის. აკაკი ვასაძემ განაცხადა: ყველა აქ გამოთქმული მოსაზრება. ყოველივე ჩვენთვანისათვის ღრმად დასამახსოვრებელია. ეს ყველაფერი საჭიროა იმ დიდი საქმიანობისათვის. რასაც ემსახურება ლადო მესხიშვილის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო თეატრი და მისი შემოქმედებითი კოლექტივი.

შეხვედრა შეაჯამა საქართველოს თეატრალური საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარემ, რესპუბლიკის სახალხო არტისტმა დოდო ანთაძემ.

რიგის რუსული დრამის თეატრი

თბილისში

1965 წლის 27 სექტემბერს ხელოვნების მუშაკთა სახლში საქართველოს კულტურის სამინისტროს და თეატრალური საზოგადოების ინიციატივით მოეწყო რიგის რუსული თეატრის საგასტროლო სპექტაკლების განხილვა. რომელსაც დაესწრნენ რიგის რუსული თეატრის რეჟისორები. მსახიობები. აგრეთვე თბილისის თეატრების წარმომადგენლები. თეატრმცოდნეები. ჟურნალისტები.

სხდომა შესავალი სიტყვით გახსნა თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარემ ღ. ანთაძემ.

დღეს ჩვენ აქ შევიკრიბეთ. — განაცხადა მან — რათა შეეხვედეთ ჩვენს ძვირფას რიგელ სტუმრებს. აი. უკვე ერთი თვეა ისინი აქ არიან და ჩვენი მაყურებლის საერთო სიყვარული და აღიარება ჰოიპოვეს. ჩვენ ვიხილეთ ნამდვილი პროფესიული თეატრი. მისი შესანიშნავი რეპერტუარი; თეატრს ჰყავს შესანიშნავი მსახიობები და რეჟისორები. რასაკვირველია. ჩვენი შეხვედრა უკანასკნელი აო იქნება. მათი გასტროლების მთელ მახანძლე ჩვენი თეატრმცოდნეები და კრიტიკოსები დიდი ინტერესით ეცნობიდნენ სტუმრების სპექტაკლებს და დღეს ისინი გაგვიზიარებენ თავიანთ აზრებს.

შემდეგ სიტყვა წარმოთქვა ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატმა ეთერ გუგუშვილმა. მან თქვა: გასტროლებზე თეატრს ყოველთვის მიაქვს ის სპექტაკლები. რომლებიც საუკეთესოა მის რეპერტუარში და განსაზღვრავს თეატრის შემოქმედებით პროფილს. უნდა აღინიშნოს. რომ რიგის რუსული დრამის თეატრს აქეს განსაკუთრებული ტენდენცია — იყოს თავისებური. ვ. შუბერტის პიესა: „ერთი საათი შუადამდე". ა. ანდრეევის „განგვსაჯეთ ადამიანებო". ა. ლორენსის „ვესტსაიდის ისტორია". ა. ლავერის „ვენის საფოსტო მარკა". რეპერტუარი ძირითადად თვით თეატრის მიერ არის შერჩეული. რეპერტუარის შერჩევისას თეატრს სხვისთვის არ წაუბაძავს. მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს. რომ თუმცა სპექტაკლი „ვენის საფოსტო მარკა". ბევრ საინტერესო პრობლემას შეიცავს. ეს პრობლემები ბოლომდე მაინც არ არის გადაჭრილი. სპექტაკლი „განგვსაჯეთ ადამიანებო" მთელი თავისი დადებითი და უარყოფითი ტიპებით. კონფლიქტებით. ჩემი ფიქრით, საკამათოა.

ნაზიმ ჰიქმეთის „ყველასაგან დავიწყებულის" სიუჟეტი სუსტია. სპექტაკლში რეჟისორის მიერ ეს სისუსტე კიდევ უფრო გაღრმაკებულია. თუმცა ამ სპექტაკლში არის მსახიობური წარმატებები. მაგრამ შემსრულებლები ხშირად ყალბ სიტუაციაში ვარდებიან.

რამდენიმე სიტყვა რეჟისურაზე: სპექტაკლი „ვენის საფოსტო მარკა" მოსაწონია. შეიძლება ითქვას. რომ მოუხდავად პიესის უარყოფითი მხარეებისა. მასზე რეჟისორს მსახიობებთან ერთად დიდი მუშაობა აქვს გაწეული.

არ შეიძლება გვერდი ავუაროთ ა. ლორენსის პიესას „ვესტსაიდის ისტორიას". ეს პიესა პირველად თქვენს სცენაზე იდგმება. იგი კომპოზიციურად რთული პიესაა. რეჟისორმა ა. კაცმა და ლ. ბელიავსკიმ პიესის სირთულე რეჟისორულად კარგად დაძლიეს.

თუმცა უნდა აღვნიშნოთ. რომ მთავარი მოქმედი პირები როლებს სუსტად ასრულებენ. იგივე მსახიობები შესანიშნავნი იყვნენ სხვა სპექტაკლებში. აქ კი ვერ ჩაწვდნენ პიესის დეფაზოსს და რეჟისორულ ჩანაფიქრს.

მ. გორკის „ეგორ ბულიჩოვი და სხვები". ჩემი აზრით, ძალიან საინტერესო სპექტაკლია. დღეს ამის შესახებ ალარაფერს ვიტყვი. რადგან ამ სპექტაკლის შესახებ რეცენზია დაეწყრე და გამეორება გამომივა.

მე ვხედავ. რომ თქვენ შესანიშნავი ტრადიცია გაქვთ: რეჟისორები ცდილობენ მსახიობების უნარი მაყურებელს სხვადასხვა სფეროში უჩვენონ. მსახიობებს, რომლებიც ერთ სპექტაკლში მთავარ როლებს ასრულებენ, მეორე პიესაში სრულიად უმნიშვნელო. ეპი-

ზოდურ როლებში ვხედავთ. ანდა ერთიდაიგივე მსახიობი შინაარსითა და ფორმით განსხვავებულ სხვადასხვა როლს ასრულებს.

არ შემიძლია არ შევაქო მხატვრების ნამუშევრებიც. უთუოდ იგრძნობა სპექტაკლის გაფორმების დიდი კულტურა. შესანიშნავად არის გამოყენებული მუსიკაც.

თქვენმა გასტროლებმა თბილისელ მაყურებლს დიდი სიამოვნება მიანიჭეს. ვნახეთ მაღალკვალიფიციური. შესანიშნავი კულტურის მქონე თეატრალური დასი.

დასასრულ, ე. გუგუშვილმა წარმატებები უსურვა თეატრის მთელ კოლექტივს შემდგომ შემოქმედებითს მუშაობაში.

სიტყვა წარმოთქვა ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ რეჟისორმა სერგო ჭელიძემ. მან საუკეთესო შეფასება მისცა თეატრის რეპერტუარს და სინანული გამოთქვა, რომ მხოლოდ სამი სპექტაკლის ნახვა შესძლო. ს. ჭელიძე არ დათანხმა ეთ. გუგუშვილს ნაზიმ ჰიმეთის პიესის შეფასებაში.

ჩემი აზრით, — აღნიშნა ს. ჭელიძემ — საკმაოდ არასრულფასოვან სპექტაკლზე „ვესტსაიდის ისტორიაზე" გაწეული მუშაობა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე რომელიმე სხვა სპექტაკლზე. სპექტაკლი შესანიშნავად არის დადგმული. მე ვნახე ფილმი „ვესტსაიდის ისტორია", რომელიც ძალიან მომეწონა და როდესაც გავიგე, რომ ამ სპექტაკლს რიგის თეატრი სდგამდა. ცოტა არ იყოს, ერთგვარი შიშითა და უიმედობით შეპარობილი მივედი თეატრში. და გამოვიტყდებით, რომ საბოლოოდ აღტაცებული დავრჩი დადგმით. სპექტაკლი არაფერს იგებს ფილმთან შედარებით. თეატრი გაბედულად მიუდგა პიესას. ს. ჭელიძემ კარგი შეფასება მისცა სპექტაკლის მუსიკალურ გაფორმებას, მსახიობთა შესრულებას. ქორეოგრაფიის.. მან თქვა, რასაკვირველია, სპექტაკლი სრულყოფილი არ არის. მაგრამ იგი შემდგომში უფრო დაიხვეწება და სრულყოფილი გახდებაო.

თეატრმცოდნე ნათელა ურუშაძემ აღნიშნა, რომ ძნელია სპექტაკლი ერთი ნახვით შეაფასო. იგი ეთანხმება ეთ. გუგუშვილის აზრს და აღნიშნავს, რომ ნაზიმ ჰიმეთის პიესა დრამატურგიულად სრულყოფილი არ არის.

შემდეგ რობატორი აღნიშნავს: ფ. პავლოვის პიესა „სინდისი" პირველად არ უნდა გეჩვენებინათ, რადგან ამ სპექტაკლში პირველადვე ვხედებით მხატვრის ნამუშევარს, რომელიც ჩემი აზრით, საკმაოდ მდარე ხარისხისაა. პიესაში მიმდინარე მოქმედებასა და სპექტაკლის გაფორმებას შორის აოაგითარი კავშირი არსებობს; რასაც სხვა სპექტაკლებზე ვერ ვიტყვი. სპექტაკლის „განგვსაჯეთ ადამიანებო" მხატვრული გაფორმება პიესაში მომქმედ ფუნქციას ასრულებს.

თბილისის მოზარდ მაყურებელთა რუსული თეატრის რეჟისორმა ვოლკუსტმა აღნიშნა ექვსი სპექტაკლიდან ყველაზე უფრო ა. ლორენსის „ვესტსაიდის ისტორიამ" დამაინტერესა. — ჩემთვის სრულად გასაგებია, თუ მაყურებელი ყველაზე უფრო რატომ ეტანება ამ სპექტაკლს.. მე მივესალმები „იმ კოლექტივს, რომელმაც პირველად მოჰკიდა ხელი ამ პიესას სცენაზე დასადგმელად. ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა არტისტმა ნ. ნეზჰანოვამ ანიტის როლში — განაგრძო ვოლკუსტმა.

აქ გამოსული ამხანაგებიდან თითქმის არავის არაფერი არ უთქვამს სპექტაკლ „შუაღამემდე ერთი საათით ადრე"-ს შესახებ.

დიდი ქების ღირსია მსახიობი რ. პრაუდინა, რომელიც ყოველ სპექტაკლში შესანიშნავად ასრულებდა როლებს. დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე აგრეთვე მსახიობმა ბ. ნიკიფოროვმა მირეკის როლში — თქვა დასასრულ რობატორმა.

რიგის რუსული დრამატული თეატრის მთავარმა რეჟისორმა ა. კაცმა თქვა: — როდესაც ჩვენი თეატრის რეპერტუარს აქებენ, ამხანაგებს არ ვეთანხმები. ჩვენს რეპერტუარში მრავალი დარღვევაა. მე, მაგალითად, ყველაზე ნაკლებად „ვენის საფოსტო მარკა" მომწონს, და ვერაფრით ვერ გამიგია რატომ მოგვწონთ ეს პიესა.

ჰიქმეთის პიესა შესანიშნავია, რაც, ჩემი აზრით, სპექტაკლზე არ ითქმის, ძალიან ვწუხვარ, რომ ჰიქმეთის პიესის ფილოსოფიური მხარე სპექტაკლში დაჩრდილა.

პატივცემული ბალტმეისტერი ხ. ტოხველმანი რომ არ ყოფილიყო, ჩვენ სპექტაკლ „ვესტსაიდის ისტორიის" სცენაზე წარმოდგენას ვერ შევძლებდით. ამ სპექტაკლზე დიდი შრომა გაეწიათ. ლატვიაში. მაგალითად, მაყურებელმა იგი არ მიიღო. გვაკრიტიკებდნენ. გვიწუნებდნენ სპექტაკლის როგორც აზროვრივ. ისე მხატვრულ მხარეს. მაგრამ, სადაც კი მოგვიხდა საგასტროლო სპექტაკლები წარმოდგენა. ბაქოში თუ თბილისში. მაყურე-

ბელს ეს სპექტაკლი ყველა სხვა დადგმებზე უფრო მოეწონა.

აქ სიტყვით გამოსულმა ამხანაგებმა აღნიშნეს, რომ ჩვენი მოწინავე მსახიობები ხშირად არ თაკილობენ და სრულიად უმნიშვნელო როლებს ასრულებენ. ამ მხრივ არ შემიძლია დიდი მადლობა არ გადავუხადო ჩვენს უხუცეს მსახიობს ნ. ბარაბანოვს, რომელიც ჩვენს თეატრში პირველი გამოვიდა ეპიზოდურ როლში, მაშინ, როდესაც იმავე პიესაში მთავარ როლს ასრულებდა და ამით მის შემცვლელ ახალგაზრდა მსახიობს შესაძლებლობას აძლევდა სცენაზე მუშაობისას, თუმცა ეს შემცვლელი მსახიობი მასთან შედარებით საკმაოდ სუსტი იყო იმ როლში.

დასასრულს სიტყვა წარმოთქვა ... ლოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარემ დ. ანთაძემ, რომელმაც სტუმრებს შემდეგი წარმატება უსურვა და გამოთქვა რწმენა, რომ რიგის რუსული დრამის თეატრის კოლექტივი და თბილისის საზოგადოებრიობა კიდევ შეხვდებიან ერთმანეთს, რომ რიგის თეატრის ეს გასტროლები უკანასკნელი არ იქნება ჩვენს დედაქალაქში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

თეატრალურ მოღვაწეთა შეხვედრა

სსრკ სახალხო არტისტ ბ. ა. ტოვსტონოგოვთან

(საუბრის თემა: „თეატრი და თანამედროვეობა“)

სხდომის თავმჯდომარემ ამხ. დ. კ. ანთაძემ აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტს გიორგი ალექსანდრეს ძე ტოვსტონოგოვს ჩვენი საზოგადოებრიობა იცნობს, როგორც ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთ საუკეთესო რეჟისორს. ჩვენ გვახარებს, რომ ამ ბრწყინვალე ხელოვანმა, როგორც ჩვენმა თანამემამულემ, პირველი ნაბიჯები ხელოვნებაში აქ, ჩვენთან გადადგა. როგორც თქვენთვის ცნობილია, იგი წლების მანძილზე ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას ჩვენს თეატრალურ ინსტიტუტში და მუშაობდა ოუსთაველის თეატრში. ამჟამად იგი ლენინგრადის გორკის სახელობის თეატრს ხელმძღვანელობს.

ვისარგებლეთ მისი თბილისს ჩამობრძანებით და ვთხოვეთ გაეზიარებინა შთაბეჭდილებები ჩვენი ორი თეატრის — რუსთაველისა და ოპერის თეატრების დადგმათა შესახებ, მოეთხრო, თუ რა იყო დამახასიათებელი საბჭოთა კავშირის წამყვანი თეატრებისათვის, კერძოდ. მოსკოვისა და ლენინგრადის თეატრებისათვის გასულ სეზონში. როგორი პერსპექტივები აქვთ ამ თეატრებს მომავალში.

ამხ. ტოვსტონოგოვი:

ამხანაგებო! ჩემი სურვილია გაგიზიაროთ ის შთაბეჭდილებები. რომლებიც მე მაღელვებს. ალბათ ეს პრობლემები თქვენც გაღელვებთ. იმიტომ, რომ უამპრობლემებოდ არ შეუძლია ცხოვრება არც ერთ ხელოვანს. არ შეიძლება არ გვაღელვებდეს თანამედროვეობის პრობლემა. რას ნიშნავს თანამედროვეობა? თეატრი თავისი ბუნებით თანამედროვეა. თანამედროვეა იმიტომ. რომ ის დღეს მუშაობს, დღეს არსებობს. ძალიან ხშირად კი თეატრი მხოლოდ გარეგნულად არის თანამედროვე აზროვნებისა და გამომსახველობათა საშუალებით, სამოქალაქო თემატიკით წარსულს ეკუთვნის. აჩქაულია. დროს ფეხდაფეხ არ მიჰყვება. არ უპასუხებს დღევანდელი მაყურებლის სულიერ მოთხოვნილებებს, საშუალებები მოძველებულია.

რა არის ამის მიზეზი?

ხშირად გვესმის ხოლმე, რომ კინემატოგრაფია იმდენად ძლიერია. რომ შთანთქავს თეატრს .იმასაც ამბობენ. რომ ტელევიზია თეატრის დაუძინებელი მტერიაო და დროთა ვითარებაში მას საგრძნობლად შეავიწროვებსო. თითქოს თეატრი განწირული იყოს. მე პირადად სრულიად საწინააღმდეგო პოზიციებზე ვდგავარ. იმიტომ კი არა, რომ არ მინდა 30 წელი დაკარგულად ჩავთვალო. არამედ იმიტომ. რომ ჩვენ ისეთ მოვლენებს ვხვდებით. რომლებიც პრაქტიკულად, შემოქმედებითად და მხატვრულად სრულიად საწინააღმდეგოს მოწმობს. იმას მოწმობს. რომ თეატრი ცხოველმყოფელია. რომ ის არასდროს მოკვდება. რომ თეატრი ისეთი ძალაა, რომელიც თავისი დამთავრებული, ნამდვილი სახით თუ წარმოგვიდგა მისთვის ვერავითარი მოწინააღმდეგენი ვერ იქნებიან საშიშნი.

რა არის თეატრის ეს ძალა? ალბათ აქედან უნდა დავიწყოთ. რომ გავიგოთ მისი თანამედროვეობის არსი. ვიმეორებ. თანამედროვეობა თეატრის ძირითადი საშუალებაა და აი, სად არის ის საზღვარი, სადაც შეგიძლია სთქვა, რომ ეს სპექტაკლი თანამედროვეა, რომ ეს სპექტაკლი დღევანდელი სპექტაკლია.

მე მგონია. მშვიდობის დაცვის საქმე დღეს ყველას ერთნაირად ეხება, აი. ეს არის ჩვენი ეპოქის თავისებურება. კაცობრიობის განვითარების პერსპექტივები მჭიდროდ არის დამოკიდებული მსოფლიო მოვლენებზე. საკაცობრიო ამბებზე.

ასეთი რამ არ ახსოვს კაცობრიობას. ავიღოთ 100 წლის წინანდელი პერიოდი. რაში ეკითხებოდა რომელიმე მემამულეს ან ობივატელს რა ხდებოდა დედამიწის მეორე ნახევარსფეროზე. ომი იყო თუ მშვიდობა! დღეს კი რაც ხდება მეცნიერების, ტექნიკის, ხელოვნებისა და პოლიტიკის სფეროში. ყოველივე ეს ყველას გვეხება. აღმოჩენები ბიოლოგიისა და მედიცინის დარგში. ახალი მიღწევები კიბერნეტიკაში, ახალი ატომური იარაღი. თვითეული ჩვენგანისათვის კარგად ცნობილია. ამ საყოველთაო მოვლენების ცხოვრებიდან გამორიცხვა შეუძლებელია. თეორია, რომელიც ამ გარემოებას არ გაითვალისწინებს, მკვდარია.

მეორე მხრით ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივი ცხოვრების ყოველივე საკითხით დაინტერესება და ამ საკითხებში გათვითცნობიერება. ადრინდელ საკითხებისადმი შეუნელებელი ყურადღება, ყოველი ინდივიდისათვის სულიერ საზრდოდ იქცა. აქედან გამომდინარე, ვფიქრობ, რომ საერთოდ ხელოვნებისა და კერძოდ, თეატრის ამოცანა გახლავთ ამ საკითხების მთელი სიგრძე-სიგანით დაყენება, ადამიანის სულისაკენ გზის გაკაფვა.

ასე გვწამს თეატრის თანამედროვეობის ერთი მხარე. თუ გავაანალიზებთ დაყენებულ საკითხს, გამოდის, რომ თითოეული პიესა უნდა აყენებდეს მსოფლიო მნიშვნელობის საკითხებს. საჭიროა თითოეული პიესა ჩვენი ცხოვრების ამათუიმ საკითხს აყენებდეს.

ახლა საჭიროა გავაკეთოთ თეატრის გამომსახველობითი საშუალებები; როგორც მოგეხსენებათ, მოსკოვის სამხატვრო თეატრმა გაკვალა გზები დრამატულ ხელოვნებაში. მაგრამ აი, ხახვევარ საუკუნეზე მეტი გავიდა და დღეს ყველა თეატრში ისე თამაშობენ, როგორც სამხატვრო თეატრში. გამომსახველობითს ხერხებსა და საშუალებებზე ელაპარაკობ. სამხატვრო თეატრის უბედურება ის არის, რომ იქ დღესაც ისე თამაშობენ, როგორც წინათ. ეს კი ბორკავს თეატრის წინსვლას.

როდესაც ვამბობთ, რომ სტანისლავსკის სისტემა ჩვენთვის კანონია, ამით სამართლეს ვამოვხატავთ, მაგრამ ის კი არ უნდა გავიფიქლისწინოთ თუ რას აკეთებდა სტანისლავსკი მაშინ. არამედ ის, თუ რას გააკეთებდა ის დღეს. ახალ პირობებში. თუ ასე არ მივუდექით საკითხს, სტანისლავსკის ტრადიციები დოგმად და მუხრუჭად მოგვეცლინება წინსვლის საბიელზე.

არ მინდა ისე გამიგოთ. თითქოს ტრადიციების დამოღვეევი ვიყო: პირიქით. მე ტრადიციებს ვიცავ. მაგრამ ტრადიციებსა და ნოვატორობას ორი მხარე აქვს — დადებითი და უარყოფითი. ტრადიციების დამოღვეევი უდღეურია ხელოვნებაში. მაგრამ ტრადიციებს მეორე უარყოფითი მხარეც აქვს — ის ხშირად დამაბუხრუჭებელი და კონსერვატიულია. ასევე შეიძლება ითქვას ნოვატორობაზე. მაშინ კი ორა ხარ ნოვატორი. როდესაც გსურს იყო ნოვატორი და ხდები ნოვატორი კიდეც. ეს მოდის აყოლასა ჰგავს და კარგს არაფერს მოასწავებს. ნოვატორი ბუნებით უნდა იყო.

არ შეიძლება შენს თავს შენ თვითონ ეწოდო ნოვატორი. ა. ბ. ჩეხოვი ამბობდა: „ბედნიერი ვარო ამის თქმა იმას უდრის, „ბედნიერ ულამაზესი ადამიანი ვარო“.

უფრო სირცხვილია ნოვატორობის დაჩემება.

ნოვატორობა ხელოვნებაში ნიშნავს შეგეძლოს შონახო ნამდვილად ახალი; აუცილებელი და საჭირო. მე ვნახე რუსთაველის თეატრში სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე-სიცრუისა“. ვფიქრობ, რომ ეს სპექტაკლი შეიცავს ბევრ ნამდვილსა და ხალასს. თვით ნაწარმოები არ არის სკეზური. მაგრამ ახალგაზრდა რეჟისორმა მეტად გაბედულად დაამყოო ქართული-ნაციონალური საბჭოუს და მოუძებნა მეტად ზუსტი ფორმა. აქ ოვალნათლივ ჩანს რეჟისორთან ერთად ინსცენერების ავტორის ხელწერაც. საუკეთესოა სპექტაკლის მხატვრული გაფორმებაც. (მხატვარი იკნატოვი). საერთო ანსამბლში მეტად კარგად გამოჩნდა კომპოზიტორიც — ფულახდილად გეტყვით: ამ სპექტაკლმა მე ამაღელვა. კიდევ იმას მოგახსენებთ, რომ ამ სპექტაკლში კარგად გამოჩნდა ახალგაზრდობა და როდესაც ვმსჯელობთ თეატრის თანამედროვეობაზე მე მახარებს ეს სპექტაკლი. რომელიც ერთგვარად ეწინააღმდეგება თეატრის რომანტიკულ ტრადიციებს. მე რა თქმა უნდა რომანტიზმის წინააღმდეგი არა ვარ და კარგად მესმის, რომ რომანტიკა ქართული თეატრის ტრადიციებთანაა დაკავშირებული. მაგრამ უკვე დროა ვიგოთ. რომ ქმერული და რომანტიკული გამომსახველობის ახალ ფორმებს მოითხოვს.

ჩვენ ისეთ ხანაში ვცხოვრობთ. რომ ჰეროიკა უნდა ვეძებთოთ უბრალოში. ხოლო უბრალო კი ჰეროიკაში. როცა თეატრის გამოხატულება მარტო რომანტიკულია იგი ერთფეროვანი და ყალბი თეატრალური ხდება. როცა ამის უკან ცხოვრებაა. გამოხატვის ფსიქოლოგიური მეთოდი. რომელიც ვინდა ქანში, სულ სხვა რამ ხდება. თუ არ არის შინაგანი ფსიქოლოგია ყველა ნიუანსში. მაშინ ხელოვნება არ შეიძლება იყოს თანამედროვე. ე. ი. მას არ შეუძლია დავიდეს სულის ღრმა კუნჭულებში და ეს ხელოვნება მკვდარია. აი, ამიტომ არის ასე მთავარი დაენახოთ ახლის ყლორტები. რომ ჩვენ აუცილებლად დავინახოთ მათი განვითარება. სხვაგვარად ეს ხელოვნება იმყოფება დაღუპვის საშიშროების წინაშე. აქ დაფარულია ის თვისებები. რომლებიც მოგვცემენ ნამდვილ ნაყოფს. ეს ნა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოფიერი საწყისი მე ნამდვილად ვიგრძენი ამ სპექტაკლში.

ის, რაც ღრმად არათანამედროვეა დღეს, ეს არის აზრის არარსებობა. ინტელექტუალური საწყისის უქონლობა. ჩვენი უბედურება ისაა, რომ ჩვენ უბრალოდ სიტყვით კი არა, არამედ პრაქტიკულად ვთვლით მაყურებელს ჩვენზე სულელად. ეს უდიდესი უბედურებაა. დღეს ჩვენი თეატრისათვის. თუ თქვენ თქვენი შემოქმედების პროცესში არ წარმოიდგენთ ადამიანს, რომელსაც ისეთივე უფლებები აქვს, როგორიც თქვენ, თუ თქვენ არ წარმოიდგენთ მომავალ მოსამართლეს, მაშინ მე მგონი თქვენ თამაშიდან გადიხართ.

დღეს შემოქმედმა უნდა წარმოიდგინოს მაყურებელი, როგორც თავის ტოლი. რომელსაც იგი პატივს სცემს. რომლის აზოთა სიფაქიზეს იგი ითვალისწინებს.

გ. ტოვსტონოგოვს მოჰყავს მაგალითი: — ვხედავ რეჟისორს და ვეკითხები — სასაცილოა? ამაზე მიპასუხებენ: მაყურებელი იცინებსო. თითონ მას არ ეცინება, მაგრამ მაყურებელი იცინებს. რადგან იგი ერთფეროვანი არსებაა. რომელიც მიიღებს კმაყოფილებას ეს ღრმა შეცდომაა და იგი ემყარება მაყურებელთა დარბაზის რეაქციას. იმიტომ, რომ მაყურებელი მართლაცდა იცინის ხოლმე ინტერესით მოცემულ ადგილებში. მაგრამ მე მინდა გაგაფრთხილოთ, რომ ეს საშიში სიცილია. რომელიც მიმართულია თეატრის მთელი აპარატისაკენ. მითუმეტეს რომ მე ფულად გადავიხადე. მოვედი თეატრში და მინდა სიამოვნება მივიღო, მაგრამ ვიცინი იმიტომ, რომ გაგიღლოთ თქვენ. მსახიობები სპექტაკლის ბოლოს. მისი დაკინავ თქვენ არ გესმით და სიხარულით იღებთ მას. აქ ხდება სასწაულებრივი თავის მოტყუება, მაშინ ასეთი წარმატება ჩავარდნაზე საშინელია.

შემდეგ გ. ტოვსტონოგოვს მოჰყავს ლენინგრადის გორკის სახელობის დიდი დრამატიული თეატრის სპექტაკლის „ფელა და ყურძენის“ მაგალითი. ეს სპექტაკლი განზრახულია ჭქონდათ მცირე წრისათვის, ფიქრობდნენ, რომ მეტისმეტად ინტელექტუალურია და მხოლოდ მაყურებელთა განსაზღვრული პროცენტი თუ ნახავს მას. მაგრამ მონდა საწინააღმდეგო. ეს სპექტაკლი უკვე ექვსი წელია სავსე აუდიტორიის წინაშე მიდის დიდი წარმატებით.

რა არის პიესის არჩევა? — აგრძელებს საუბარს გ. ტოვსტონოგოვი — ხშირად ამბობენ, რომ მსახიობი თამაშობს. მაყურებელი ამ დიდიხანია მიხვდა ყოველივეს. მსახიობი ისევ აგრძელებს თამაშს. მაყურებელი კი ისწრაფვის შემდგომ ამბისკენ, მაგრამ ჩვენ არ ვიძლევთ ამის საშუალებას. ეს აზროვნების ძალიან მოძველებული ფორმაა, რომელიც ანადგურებს თეატრის ბუნებას.

მე მგონია, რომ თანამედროვე თეატრი მთელი თავისი არსებით ეწინააღმდეგება ილუსტრირებულ. ცხოვრების ყოფით ასახვას. მე მგონია, რომ თუ იყო დრო, როცა ფაქტი ცხოვრების ნამდვილი ასახვისა ახდენდა შთაბეჭდილებას, დღეს კი ჩვენება მარტო თავისთავად. თუ მას არა აქვს მეორადი გამოხატულება. მაყურებლისათვის არ არის საინტერესო, როგორც არ უნდა იყოს დამაჯერებელი ეს ამბავი, თუ ამას სხვა აზრიც არა აქვს. იმის გარდა, რასაც მე ახლა ვხედავ, მაშინ ეს ხელოვნება მკვდარია. ასევეა თეატრალური მხატვრის ნამუშევარშიც. თუ ვხედავთ მარტო დეკორაციას, რომლის იქით არ არის არავითარი აზრი. როცა. მოკლედ რომ ვთქვათ, ეს ძალიან ბავს. მაგრამ ამის იქით არაფერი არ არის. ეს მკვდარი დეკორაციაა, თუ დღეს მაყურებელი მზის ლამაზ ამოსვლას უყურებს, მაყურებელიც იყოფა ნოვატორებად და ტრადიციულებად. არა მარტო ჩვენ ვიყოფით ნოვატორებად და კონსერვატორებად.

მთავარია, რომ წამყვანი თეატრი თავისი მონაპოვრებით ამდიდრებდეს ახალი მაყურებლის რაოდენობას. აი. რაშია ამოცანა — დავაპუროთ მაყურებელი სპექტაკლებით. მაშინ აღქმაც შეიცვლება ხოლმე. მე ვხედავ, რომ გამოხატვის ენა, რომელიც ხუთი წლის წინად შეუძლებელი იყო. დღეს აღიქმება. იმიტომ რომ ესთეტიკური გემოვნება ყოველდღიურად, ყოველ საღამოს აღზრდის პროცესშია. თუ თანმიმდევრობით გადავავლებთ თვალს, შეგვიძლია დავინახოთ როგორ ყალიბდება ახალი მაყურებლის კადრები, რომლებიც დადიან თეატრში, ნამდვილად აღელვებთ და აქტიურად აზროვნებენ. თუ ჩვენ არ შევიყვანთ მაყურებელს ამ აზროვნების პროცესში, მაშინ ასეთი თეატრი არ არის საინტერესო.

გ. ტოვსტონოგოვი შეეხო აგრეთვე კრიტიკოსთა შორის აზრთა სხვადასხვაობას — თუ ჩვენ ვამბობთ რაიმე ახალს, ისინი ამბობენ მოდერნიზმიაო. თუ ჩვენ ვამბობთ ინტელექ-

ტუალური თეატრიაო — ისინი ამბობენ — დიახო. ეს დასავლეთის გამხარწნელი გავლენაო. თუ ჩვენ ვამბობთ ლაკონიზმი — ისინი ამბობენ დეკადანსიაო. ეს საშუალება არასწორია. მაგრამ სამწუხაროდ ხმარობენ ხოლმე. ლაკონიურნი იყვნენ ჩეხოვი და პუშკინი— ამიტომ რატომ უნდა ვიეჭვოთ ამაში. ზოგიერთი კრიტიკოსები სთვლიან ასე. უფრო სწორედ არ სთვლიან. უბრალოდ კი ისინი ამ საშუალებებით იბრძვიან.

მე ვამბობდი. მაგალითად. რომ გრძნობები დღეს შეკავებული უნდა გვქონდეს. ჩვენ უნდა ამოვსსნათ ისინი. მოიძებნა კრიტიკოსი. რომელმაც ასეთი კითხვა მოგვცა. განა ჩვენ ისეთ ეპოქაში ვცხოვრობთ. რომ თავისშეკავება იყოს საჭირო? პირიქით ჩვენ ღია გრძნობები გვაქვს. ტერმინი იხმარება იქ. სადაც მისი ადგილი სრულებით არ არის. მთავარია იდეა გამოვხატოთ ამაღლებულის საშუალებებით.

ზოგიერთები იგებენ ისე. რომ ადამიანები არ არიან გულღია. რომ მათ უნდა [illegible]თის ეშინოდეთ. იკავებენ თავ[illegible] ზოგიერთი ადამიანის ესთეტიკურ უზრდელობაზე. რომლებიც სამწუხაროდ ხელოვნებაში ჯერ კიდევ ბევრია.

დასასრულს გ. ტოვსტონოგოვმა განაცხადა: მე მგონია ცხოვრების კანონი გაიმარჯვებს. აქ მხოლოდ დროშია საქმე. რაც შეეხება თემებს. რომელზედაც მე ესაუბრობდი. მათზე ყოველთვის შეიძლება საუბარი.

შემდეგ გ. ტოვსტონოგოვმა უპასუხა ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატის ე. გუგუშვილის. რეს. ს.ხ. არტისტის დ. სლავინის. რეჟისორ ნ. ეშბას. დრამატურგ ო. ჩიჯავაძის. დოც. ნ. ყიასაშვილის შეკითხვებს.

საღამოს დასასრულს საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარემ რეს. ს.ხ. არტისტმა დიდო ანთაძემ. მსმენელების. თეატრალური საზოგადოების სახელით მადლობა გადაუხადა გიორგი ტოვსტონოგოვს საინტერესო საუბრისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისის თეატრების გასტროლები რესპუბლიკის გარეთ

ზ. ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის აკადემიური თეატრი ლენინგრადში

მიმდინარე სეზონში ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრი საკავშირო ლენინგრადს ეწვია. გასტროლები დაიწყო 25 ივლისს. კიროვის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის შენობაში.

გასტროლების პირველ დღეს ლენინგრადელმა მაყურებელმა მოისმინა ზ. ფალიაშვილის ოპერა „დაისი". სპექტაკლის დაწყების წინ ლენინგრადის თეატრალური საზოგადოების სახელით თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის კოლექტივს მიესალმა დამსახურებული არტისტი სოლოვიოვი. საპასუხო სიტყვა წარმოთქვა საქართველოს სსრ კულტურის მინისტრმა. ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ, კომპოზიტორმა ო. თაქთაქიშვილმა.

სპექტაკლმა წარმატებით ჩაიარა. შემსრულებლებს: მ. ამირანაშვილს (მარო), პ. გლუნჩაძეს (მალხაზი), შ. კიკნაძეს (კიაზო), თ. გურგენიძეს (ნანო), პ. თომაძეს (ცანგალა), გ. ტორონჯაძეს (ტტო) ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ.

მეორე დღეს, ბალეტ „ოტელოს" უამრავი ხალხი მოაწყდა. როგორც ყველგან და ყოველთვის, უბილეთოდ დარჩენილი მაყურებლები ზედმეტ ბილეთებს ითხოვდნენ.

ლოჟაში ისხდნენ სპპატო სტუმრები. ესენი იყვნენ უგანდის პრემიერ-მინისტრი დოქტორი აპოლო მილტონი და მისი მხლებლები. ხალხით გაჭედილი დარბაზი მჭეხარე ოვაციებით შეხვდა ვ. ჭაბუკიანს. თითქმის ყოველი სურათის და მოქმედების შემდეგ მაყურებელი ჭაბუკიანს სცენაზე იძახებდა და თაიგულებს ესროდა. ყოველი სპალეტი სპექტაკლი, რომელშიც ჭაბუკიანი მონაწილეობდა. ლენინგრადელებისათვის ზეიმის ხასიათს იღებდა. სპექტაკლების შემდეგ თეატრის კარებთან მას უამრავი ხალხი ელოდა. ჭაბუკიანის ავტოგრაფი მათთვის სახუკეკარი საჩუქარი იყო.

— თქვენიც არის და ჩვენიც! — ამბობდნენ ლენინგრადელები.

ამ დღეს ჭაბუკიანი თავის პარტნიორებთან ერთად (ვ. წიგნაძე ვ. გუნაშვილი, გ. კუკულაძე. ლ. მითაიშვილი, ლ. ნადარეიშვილი. ვ. ივაშკინი) თვრამეტჯერ გამოიძახეს სცენაზე.

ამავე თეატრის შენობაში ჩვენმა თეატრმა „დაისისა" და „ოტელოს" გარდა, ლენინგრადელებს „უჩვენა ოპერები: ვ. მოცარტის „დონ-ჟუანი", ჯ. ვერდის „ტრუბადური". ო. თაქთაქიშვილის „მინდია". ჯ. პუჩინის „ჯანი სკიკი", ბ. მასკანის „სოფლის პატიოსნება". ბალეტები: ვრ. კლაძის „სინთელა". ა. კრეინის „ლაურენსია". ს. ცინცაძის „დემონი" და „ბალეტის საღამო".

7 აგვისტოდან 7 სექტემბრამდე. გასტროლებმა ლენსაბჭოს სახელობის კულტურის სასახლეში გადაინაცვლა. აქ დამატებით იქნა ნაჩვენები გ. დონიცეტის „ლუჩია დი ლამერმური". ჯ. პუჩინის „ტოსკა". შ. გუნოს „ფაუსტი" და „ვალპურგის ღამე": საბალეტო სპექტაკლები: ლ. მინკუსის „დონ-კიხოტი" და ბ. კეერნაძის „ქოროგრაფიული ნოველები".

ლენინგრადელი მაყურებელი აღტაცებით შეხვდა დირიჟორებს სსრ კავშირის სახალხო არტისტს ო. დმიტრიადის. რესპუბლიკის სახალხო არტისტებს დ. მირცხულავას. ვ. ფალიაშვილს. გ. აზმაიფარაშვილს. ჯ. კახიძეს. მსახიობებს: მ. ამირანაშვილს. თ. მუშკუდიანს, ვ. წიგნაძეს, ი შუშანიას, ნ. ტუღუშს. ბ. კრავეიშვილს, შ. კიკნაძეს. ლ. მითაიშვილს, ბ. მონავარდისაშვილს. ირ. ჯანდიერს. ვ. გუ-

ნაშვილს, სსრ კავშირის სახალხო არტისტს პ. ამირანაშვილს ლენინგრადელები ისე შეხვდნენ, როგორც ძველ მეგობარს. ლენინგრადელებს დიდად მოეწონათ ნ. ანდღულაძის გამოსვლა. მას ისინი მის მამას ადარებდნენ.

სპექტაკლებს მრავალი საპატიო სტუმარი დაესწრო. მათ შორის იყვნენ თ. შალიაპინის ქალიშვილებიც, რომლებიც დაესწრნენ ბალეტ „ოტელოს“. თეატრის შთაბეჭდილებათა წიგნი მრავალი საინტერესო ჩანაწერებით შეივსო. აი ზოგიერთი მათგანი:

„დიდი მადლობა. სიამოვნებით ვუსმენთ სახელოკან მამასა და შვილს. ამირანაშვილებს. ლეონორასა და გრაფ დი ლუნას პარტიებში.

ძალიან მოგვწონს ოპერა „ტრუბადური“. შესანიშნავი სპექტაკლია“.

ი. უსპენსკაია.

„მოგვწონს შესანიშნავი საბალეტო სპექტაკლი „დემონი“. მუსიკაში ივრძნობა ქართული ხალხური მელოდიები. ბალეტ „დემონში“ კარგად არის გადმოცემული ლერმონტოვის დემონის სული. ერთხელ კიდევ მოვიხიბლეთ ვ. ჭაბუკიანის უბადლო ხელოვნებით“.

ურალის კიროვის სახელობის ტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტები:

ვ. ჟარაკინი და პ. კოსტი.

მიმდინარე გასტროლებმა ცხადჰყო, რომ ლენინგრადის მაყურებელი დიდი სიმპათიით და სიყვარულით არის გამსჭვალული ქართული ხელოვნებისადმი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გასტროლები

კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრმა დაამთავრა საგასტროლო მოგზაურობა ქუთაისსა და ბათუმში. ქუთაისი... ბათუმი... ამ ქალაქებთან ბევრი ძვირფასი მოგონებაა დაკავშირებული. 1928 წელი. მარჯანიშვილის თეატრის პირველი სეზონი... სცენის ჯადოქარ კოტე... უშანგი... ვერიკო... შალვა ღამბაშიძე... თანამებრძოლთა და თანამოზრეთა მძლავრი ჯგუფი... დაძაბული. მღელვარე დღეები. უძილო ღამეები... „ურეკე აკოსტა“-ს პრემიერა ქუთაისში. „ყვარყვარე თუთაბერი“ ბათუმში... „კაკალ გულში“, „როგორ“, „ჰოპლა“, „ჩვენ ვცოცხლობთ“... ყოველი ახალი დადგმა — ახალი გამარჯვება. დღესასწაული. ზეიმი... ტრიუმფული გასტროლები მოსკოვსა და ხარკოვში...

ასე ჩაისახა. იშვა. ხოლო შემდეგ თბილისში განმტკიცდა და დამკვიდრდა ახალი თეატრი — ქართული კულტურის ერთ-ერთი მძლავრი კერა. რომელიც დღეს მისი შემქმნელის — კოტე მარჯანიშვილის სახელობისაა. მას შემდეგ 37 წელი გავიდა. მარჯანიშვილის თეატრმა შემოქმედების რთული და ძნელი გზა განვლო და მრავალი ბრწყინვალე სტრიქონი ჩაწერა საბჭოთა ხელოვნების ისტორიაში. დროგამოშვებით კოტეს თეატრი ესტუმრება ხოლმე თავის საყვარელ ქალაქებს და შემოქმედებით ანგარიშს აბარებს მათ. ასე ძოხდა წელსაც. ქუთაისსა და ბათუმის დიდი თეატრალური ტრადიციების მქონე მაყურებლის წინაშე თეატრი თავისი საუკეთესო სპექტაკლებით წარსდგა. ეს სპექტაკლებია: „კახაბერის ხმალი“, „მკვდრის მზე“, „ვისია კისი“, „მე. ბებია. ილიკო და ილარიონი“, „მე ვხედავ მზეს“, „ჯარისკაცის ქვრივი“, „მედეა“ და სხვა.

როგორც მოსალოდნელი იყო. დიდი გამარჯვება. მაყურებლის ერთსულოვანი მოწონება და აღტაცება სამართლიანად მოიპოვა გამოჩენილი ქართველი მწერლის პ. კაკაბაძის „კახაბრის ხმალმა“.

„ჭუთაისელ მაყურებელს კარგად ახსოვს, რომ რამდენიმე წლის წინათ, „კახაბერის ხმლის“ დადგმა რესპუბლიკის თეატრებმა, მათ შორის მესხიშვილის სახელობის თეატრმაც სცადა. მაგრამ ეს ცდა მარცხით დამთავრდა. ამ მარცხის მიზეზი ახლა გარკვეულია: რეჟისორები ცდილობდნენ პ. კაკაბაძის კომედიიდან გარკვეული ეპოქით შემოფარგლული ისტორიული სატირა. ანდა ყოფაცხოვრებითი კომედია შეექმნათ. ავტორის იდეასა და პიესის ფორმას კი არცერთი მათგანი არ შეესატყვისებოდა. ამიტომაც ნაწარმოებში წამოჭრილი პრობლემა ამოუხსნელი და მაყურებლისათვის გაუგებარი რჩებოდა. რა თქმა უნდა. ამ გარემოებამ ერთიორად გააძლიერა ინტერესი მარჯანიშვილის თეატრში ახალი ინტერპრეტაციით დადგმული სპექტაკლისადმი. ჩვენ ისდა დაგვრჩენია, რომ სიხარულითა და კმაყოფილებით ეფლირთო: შთამბეჭდილებამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. მაყურებელმა მაღალმხატვრული სპექტაკლი ნახა, რისთვისაც პირველ ყოვლისა. უნდა ვუმადლოდეთ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის გ. ლორთქიფანიძის. მხატვარ მ. მალაზონიას გამარჯვებით დაგვირგვინებულ შემოქმედებითს ძიებასა და მსახიობების ბრწყინვალე ოსტატობას“ — სწერდნენ რ. ბერიძე და მ. ტუსკია გაზეთ „ქუთაისში“.

„ეს სპექტაკლი ქართული საბჭოთა ხელოვნების დღესასწაულია“ — განაცხადა გაზეთ „საბჭოთა აჭარის“ ფურცლებზე რესპუბლიკის სახალხო არტისტმა მ. ხინკაძემ.

მეტად გულთბილად. დიდი პატივისცემით მიიღო ქუთაისისა და ბათუმის მაყურებელმა გ. შატბერაშვილის უკანასკნელი პიესა „მკვდრის მზე“ და სპექტაკლში მონაწილე მსახიობები, განსაკუთრებით მთავარი გმირის შემსრულებელი ა. ომიაძე.

გ. შატბერაშვილის ყოველი ახალი ნაწარმოები გამოქვეყნებისთანავე მკითხველებისაკენ გზას ადვილად იკვლევდა. ამის საიდუმლოება თვით ავტორის შემოქმედებაში იყო: სიუჟეტების აქტუალობა, მიმზიდველობა და მრავალფეროვნება, დახვეწილი ქართული ენა, რომელსაც ავტორი ხალხში გაბნეული

ქ. თბილისის სახ. ბიბლიოთეკა
რესპუბლიკური ბიბლიოთეკა

მარგალიტებით აკსებდა. თეორიის ბუნებრივობის განვითარება და ბოლოს — რეალური გმირები, რომელთაც ფესვი ჩვენი ხალხის ყოფაში ჰქონდათ გადგმული... სპექტაკლის წარმატება განპირობა საქართველოს სსრ სახალხო არტისტის, სახელმწიფო პრემიის ლაურეატის ალ. ომიაძის მიერ შექმნილმა სცენურმა სახემ. ა. ომიაძე ქართულ სცენაზე ცნობილია. როგორც დაკვირვებული, შინაგანი ბანცდის. დიდი დიალაზონის შემოქმედი. რომელიც თავისი გმირის ხორცშესხმისას არცერთ დეტალს უყურადღებოდ არ დასტოვებს. დიდი სიყვარულითა და სითბოთი ავსებს და მაყურებელთან ისე მიაქვს. ამ გამოცდილი სცენის ოსტატის შემოქმედებაში გონება და განცდა ყოველთვის ურთიერთთან არის დაკავშირებული. ამიტომ არის, რომ მის მიერ განხორციელებული ადამიანები ყოველთვის მიწიერნი და გამომსახვენი არიან. მრავალი წლის არტისტული დაკვირვების ერთ ფოკუსში თავმოყრაა მის მიერ გამოძერწილი ვიორკი კობაიძის სახე" (მ. ტუსკია — გაზეთი „ქუთაისი").

„გ. შატბერაშვილი — ეს უადრესად ნიჭიერი შემოქმედი ახლახან გამოეცალა ქართველ მწერალთა რიგებს და თეატრში მისი მუშაობა ამ ტრაგედიით დასრულდა. „მკვდრის მზე" გ. შატბერაშვილის ერთ-ერთი საუკეთესო მოთხრობაა. რომელმაც დაბეჭდვისთანავე მიიპყრო ყურადღება. იგი შემოქმედებით ალმავლობთ არის დაწერილი. გამოირჩევა აზრის სიღრმით, კარგად შეკრული კომპოზიციით და შესანიშნავი, მსუყე, დარბაისლური, მადლიანი ქართული. ქართული სიტყვა ამ ნაწარმოებში განსაკუთრებული სილამაზით ელვარებს. ამიტომაც სრულიად ბუნებრივია, რომ თეატრი დაინტერესდა ამ მოთხრობით და მწერალმა შექმნა „მკვდრის მზის" დრამატიული ვარიანტი...

გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ სპექტაკლის სული და გული არის საქართველოს სსრ სახალხო არტისტი ალ. ომიაძე. იგი დახვეწილი, დარბაისლური ქართულით, გარდასახვის შესანიშნავი უნარით ხელშესახებად გვიჩვენებს ჯიუტი, გულჩათხრობილი მამის სულიერ ტკივილებს. მის პიელპიდმოყრილ მადლს..." (ს. გიორგობიანი — გაზეთი „საბჭოთა აჭარა").

წარუშლელი შთაბეჭდილება მიიღო მაყურებელმა ვ. ანჯაფარიძის თამაშით პიესა „დედაში". გამოჩენილი ჩეხი მწერლის კ. ჩაპეკის ერთ-ერთი სპექტაკლი ნახეს ჩეხმა ტურისტებმა, რომლებიც ქუთაისში იმყოფებოდნენ „წარმოდგენის დამთავრების შემდეგ ხელვაზეზე ავიდნენ და მხურვალედ მიეღოცეს დიდი შემოქმედებითი წარმატება დედის როლის შემსრულებელს. სსრკ სახალხო არტისტს. სახელმწიფო პრემიის ლაურეატს. ვერიკო ანჯაფარიძეს. რომელსაც ჩეხოსლოვაკიაში საბჭოთა-ჩეხოსლოვაკიურ ფილმში („შეწუვეტილი სიმღერა") დედის როლის შესრულებითაც იცნობენ. ჩეხოსლოვაკიელ ტურისტებსა და გამოჩენილ მსახიობს შორის გულთადი საუბარი გაიმართა. სტუმრებმა ყვავილების თაიგული მიართვეს კ. ჩაპეკის პიესის მთავარი გმირის საუკეთო შემსრულებელს. („გაზეთი — „ქუთაისი").

მაყურებელი კვლავ გაახარა „სიცილის დიდოსტატმა", რესპუბლიკის სახალხო არტისტმა ა. ყორეოლიანმა. ბაბუა სპრიდონის როლში („დეკიძეების ოჯახი") და სპენსერის როლში („თამაში ჭვავის ყანაში") ყოველ მის გამოჩენას დარბაზი მხურვალე ტაშით ეგებებოდა.

ხალისითა და კმაყოფილებით იქნა მიღებული თეატრის სეზონის ბოლო პრემიერა — ო. ჩხეიძის კომედია „ვისია ვისი?!", სადაც წარმატება ხვდათ დამსახურებულ არტისტებს: ე. ყიფშიძეს. ი. ტრიპოლსკის. ა. ვერულელიშვილს. დ. ქუთათელაძეს. მსახიობებს ეკ. ვერულაშვილს. გ. ციცქიშვილს. თ. მაისურაძეს და სხვებს.

სიხარულით შეხვდა მაყურებელი „ძველ ნაცნობებს" — ნ. ღუმბაძისა და გ. ლორთქიფანიძის სპექტაკლებს „მე. ბებია. ილიკო და ილარიონს" და „მე ვხედავ მზეს".

თეატრის გასტროლების წარმატებაში ღირსეული წვლილი შეიტანეს ქართული სცენის ოსტატებმა, რესპუბლიკის სახალხო არტისტებმა: ს. თაყაიშვილმა, მ. ჯაფარიძემ, ა.ა. კვანტარაძემ, გ. კოსტავამ. დამსახურებულმა არტისტებმა: დ. ჭიჭინაძემ, თ. თეთრაძემ, ლ. ანთაძემ, პ. ინწკირველმა, ზ. ლაფერაძემ, დ. ოქროსცვარიძემ, ა. კობალაძემ, ვ. ნინუამ, ტ. საყვარელიძემ და სხვ. მსახიობებმა ნ. ჩხეიძემ, ზ. ლებანიძემ, ს. ჭიაურელმა, ქ. კიკნაძემ, ი. ბოკუჩავამ, ზ. იოსელიანმა, ლ. ცხვარიაშვილმა, გ. სიხარულიძემ და სხვებმა.

40 დღის განმავლობაში თეატრმა 60-ზე მეტი წარმოდგენა გამართა. აქედან 20-მდე გასვლითი და პარალელური წარმოდგენა იყო.



ეროვნული ბიბლიოთეკა

თეატრი მოემსახურა ტყიბულის, წულუკიძის, ზესტაფონის, მაიაკოვსკის რაიონის მშრომელებს, ჩაქვის საბჭოთა მეურნეობის, ბობოყეთის, წინსვლისა და ახალშენის კოლმეურნეებს. საშეფო კონცერტები გამართა ქუთაისის საავტომობილო ქარხანაში. ქუთაისისა და ბათუმის პიონერთა ბანაკებში. სასაზღვრო სოფელ სარფში. თეატრის კოლექტივს ყველგან საზეიმო შეხვედრას უწყობდნენ.

გასტროლებმა კიდევ ერთხელ ცხადყო მარჯანიშვილის თეატრისადმი ქართველი მაყურებლის დიდი სიყვარული. ქუთაისელმა პიონერმა. მეოთხე კლასის მოსწავლემ კობა კალხიდაძემ ასე მიმართა თეატრის კოლექტივს: „რომ იცოდეთ. რაოგ სასიხარულო და ტკბილ მოგონებად დარჩება ეს დღე ჩვენს ცხოვრებაში. მაშინ ადვილად წარმოიდგენთ თუ რაოდენ საყვარელი და საამაყოა ყველა თქვენგანი ჩვენთვის — პატარებისათვის. ბბა. გახედეთ. რამდენი თვალი შემოგცინებთ ახლა თქვენ. ამ ბავშვების სახელით მინდა ყველას გადაგეხვიოთ და გადაგკოცნოთ იმისათვის. რომ ათასობით ადამიანს სიამოვნებას ანიჭებთ. იმისათვის. რომ უკვდავ საქმეს ემსახურებით“.

აპარის ასს რესპუბლიკაში გასტროლების წარმატებით განხორციელებისათვის თეატრი ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოვდა.

ქუთაისისა და ბათუმის ხელმძღვანელობამ და საზოგადოებამ თეატრი ერთი წლის შემდეგ კვლავ მიიწვია საგასტროლოდ.

გასტროლებმა ერთხელ კიდევ [illegible] ცა. რომ ჩვენს მაყურებელს. [illegible] სა. სჭირდება თანამედროვეობის ამსახველი ქართული სპექტაკლები. თეატრის ხელმძღვანელობის ძირითადი საზრუნავიც ეს აოის.

დამთავრდა 1964—65 წლების სეზონი. შეიძლება ითქვას. რომ ეს სეზონი თეატრისათვის დაძაბული. შინაარსიანი და ნაყოფიერი იყო. თეატრმა გადაჭარბებით შეასრულა შემოქმედებითი და საწარმოო-საფინანსო გეგმა.

როგორია მომავლის პერსპექტივა? საორიენტაციო რეპერტუარშია: პ. კაკაბაძის „ცხოვრების ჯარა“. ი. ვაკელის „აპოკაკუნე“. ე. ციცაგის „ფეთრი“. გ. ხუხაშვილის „მთაწმინდის მთვარე“. ა. სამსონიას „ზღვა და საყვარული“. შექსპირის „ჰამლეტი“.

თეატრისათვის პიესებს სწერენ: გ. ნახუცრიშვილი. ო. ჩხეიძე. ნ. დუმბაძე. მ. ელიოზაშვილი. ო. მამფორია. ა. აბშილავა. დ. მილორავა და სხვები.

თეატრი გაცხოველებით ემზადება დიდი ოქტომბრის რევოლუციის 50 წლისთავისათვის. დიდი ლენინის დაბადების 100 წლისთავისა და შოთა რუსთაველის 800 წლის იუბილეს აღსანიშნავად.

ჯერჯერობით პიესების ნაკლებობა იგრძნობა და თეატრი შესძლებს დიდი და საპატიო ამოცანების წარმატებით გადაჭრას. თუ მის გარშემო მჭიდროდ დაირაზმება ჩვენი ქართული მწერლობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრიბოედოვის სახელობის თეატრი

ქ. სოჭში და ქ. ოდესაში

ყოველი თეატრალური კოლექტივის შემოქმედებითს ცხოვრებაში სწორად დაგეგმილი, საინტერესო და საპასუხისმგებლო გასტროლები აუცილებელი სტიმულია მიმდინარე და მომავალი სეზონის მუშაობისა. ეს უკვე დამტკიცებულია პრაქტიკულად. ეს აუცილებელია სპექტაკლის მხატვრული და იდეური ღირებულების ამაღლებისათვის, სამსახიობო ოსტატობის და მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის ზრდისათვის. ამ ზაფხულს გრიბოედოვის თეატრს ნამდვილად ბედი ეწვია. მაისში, ჯერ კიდევ შუა სეზონში კოლექტივი ემსახურებოდა ქ. სოხუმისა და სოჭის მოსახლეობას. ეს იყო შეხვედრა თეატრის ძველ მეგობრებთან, რომლებიც პერიოდულად მთელი წლის განმავლობაში ეცნობოდნენ ახალ წარმოდგენებს და ყოველთვის სიხარულით ხვდებოდნენ თეატრის კოლექტივს.

ქ. სოჭის ტელევიზიით გრიბოედოვის თეატრის წარმოდგენების ტრანსლაცია ეწყობოდა ხოლმე მთელი სტავროპოლის მხარისათვის. სოჭის ტელეხედვის დირექციას მრავალი მადლობის წერილები მოსდის. მაყურებლები მადლობას უხდიან გრიბოედოველთ საუკეთესო სპექტაკლებისათვის.

ამ ზაფხულს გრიბოედოველებს მიეცათ შეაძლებლობა შეხვედროდნენ ახალ მაყურებელს. ეს იყო დიდი თეატრალური კულტურის მქონე ქალაქი, ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი მსხვილი საწარმოო ცენტრი — გბირი ქალაქი — ოდესა. ჯერ კიდევ ადრე გასტროლებამდე თეატრის სამხატვრო საბჭოზე საფუძვლიანად არჩევდნენ ნაგასტროლო რეპერტუარს. თეატრის ამოცანა იყო ეჩვენებინა ბოლო წლების საუკეთესო სპექტაკლები, კარგად წარმოედგინა მსახიობების შემოქმედებითი შესაძლებლობა, დემონსტრირება მოეხდინა მხატვრულობისა და მუსიკალური გაფორმებისა. საინტერესო რეჟისორული ნამუშევრებისა. შერჩეული იქნა შემდეგი პიესები: ა. შტეინის „ოკეანე“ (დადგმა ს. ჭელიძისა — ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე; მხატვარი ე. დონცოვა — ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე), ა. ოლოდინის „ჩემი უფროსი და“ (დადგმა ნ. ეშბასი. მხატვარი — ი. შტენბერგი — ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე). ა. და პ. ტურების „მოწინააღმდეგესთან გადასული“. (დადგმა მ. პიასეცკასა — რესპ. სახ. არტისტი, მხატვარი — რ. ნალბანდიანი — ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე). ე. რადზინსკის „104 ფურცელი სიყვარულის შესახებ“ (დადგმა მ. კუჭუხიძისა. მხატვარი ე. დონცოვა — ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე). ი. ზლობინისა და მ. სელეზნევას „მშვენიერი დღე“ (დადგმა ი. ზლობინისა — რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი. მხატვარი ე. დონცოვა — ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე). ფ. ფუდრიჩისა და ა. ხაკეტის „ანა ფრანკის დღიური“ (დადგმა მ. კუჭუხიძისა. მხატვარი ე. დონცოვა — ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე), უ. გიბსონის „ორნი საქანელაზე“ (დადგმა ა. ჩხარტიშვილისა, საქ. სახ. არტისტი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, მხატვრები: ო. ქოჩაკიძე, ა. სლავინსკი. ი. ჩიკვაიძე), დ. პსაფასის „საჭიროა მატყუარა“ (დადგმა კ. სურმავასი, მხატვარი რ. ნალბანდიანი — ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე).

რეპერტუარი გამოირჩეოდა ჟანრობრივი მრავალფეროვნებით: დრამატული თხზულება, კომედია, სატირა, ვოდევილი — წარდგენილი იყო მაყურებლის სამსჯავროზე. მხოლოდ ერთ-ერთი დასახელებული პიესა ოდესაში არ იყო ნაჩვენები — ეს იყო „104 ფურცელი სიყვარულის შესახებ“ ე. რადზინსკის. რადგანაც ოდესის ივანოვის სახელობის თეატრის კოლექტივმა ეს პიესა მიმდინარე სეზონში 100-ზე მეტჯერ ითამაშა და ამის გამო მიჩანშეწყლილად ჩაითვალა გრიბოედოველთა სპექტაკლის არჩევნება.

გასტროლების წარმატებისათვის არანაკლებ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოზრუნა თეატრის დირექციამ: მომზადებული იქნა შესანიშნავი ფოტო-რეკლამა, სპეციალური სარეკლამო კინო-ფირი. ფერადი, ლამაზი აფიშები და სტენდები. კოლექტივის მთელი ძალა და შესაძლებლობანი იქნა მობილიზებული. და. აი. შვებულების შემდეგ 2 სექტემბერს თეატრის დასი გაემგზავრა ოდესაში. სადაც 4-დან 27 სექტემბრამდე უკრაინის ოქტომბრის რევოლუციის სახელობის თეატრის შენობაში გაიმართა წარმოდგენები. გასტროლები გაიხსნა შტეინის პიესით „ოკეანე". უკვე პირველი წარმოდგენიდან ჩანდა ოდესელი მაყურებლის დიდი ინტერესი გრიბოედოველებისადმი. წარმოდგენა გულთბილად მიიღეს. და ასე მთელი გასტროლების მიმდინარეობის პერიოდში წარმოდგენები იდგმებოდა მაყურებელთან მჭიდრო კონტაქტში. სავსე დარბაზით და ნამდვილი შემოქმედებითი აღმავლობით. თეატრის წარმოდგენებისადმი ინტერესი იმდენად დიდი იყო. რომ რამდენიმე სპექტაკლი ნაჩვენები იქნა ოდესის ცნობილი ოპერის თეატრის შენობაში. რომელიც ათასობით მაყურებელს იტევს. ა. ვოლოდინის „ჩემი უფროსი და" და ბ. შოუს „მილიონერი ქალი" დემონსტრირებული იქნა ტელევიზიით. 19 გასელთან წარმოდგენა ნაჩვენები იქნა ოდესის ოლქის. მოწინავე კოლმეურნეობებში და საქრაიონო ცენტრებში: ივანოვოში, ...ში და სხვაგან.

გასტროლების დროს მოეწყო საშეფო კონცერტები საგზაო-მშენებლობის კომბინატში, საზღვაო სასწავლებელში, ლენინორ-არყის კომბინატში.

პრესაში დაიბეჭდა რეცენზიები წარმოდგენებზე. განსაკუთრებით იყო აღნიშნული ა. შენგელაიას ბრწყინვალე დებიუტი ანა ფრანკის როლში. ოდესის მაყურებელმა შეიყვარა თეატრის მოწინავე მსახიობები: საქ. სახ. არტისტები: ნ. ბურმისტროვა, მ. პიასეკკი, დ. სლავინი. საქ. დამს. არტისტები: ა. გომიაშვილი. ი. შევჩუკი, ი. ზლობიანი. მსახიობები ვ. სომინა. ო. ლარკინა. ლ. კრილოვა. ნ. კილოსანიძე. ბ. კ.ზინეკი. ა. ლევინი და სხვები.

გასტროლების პერიოდში გრიბოედოვის თეატრი მოემსახურა 37.624 მაყურებელს. გასტროლების შემოქმედებითი და ფინანსური შედეგი დიდია.

გრიბოედოვის სახელობის თეატრის კოლექტივისა და ოდესის ფართო თეატრალურ საზოგადოებას შორის დამყარდა მჭიდრო და ნამდვილი მეგობრობა.

ქ. ოდესაში გრიბოედოვის სახ. თეატრის გასტროლები ახალი ნაბიჯია ორ მომძე რესპუბლიკას შორის. შესანიშნავი სტიმულია თეატრას შემდგომი მუშაობისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვ. აბაშიძის სახელობის სახელმწიფო

მუსიკალური კომედიის თეატრი

თბილისის ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის თეატრმა თავისი ოცდამეთვრამეტე სეზონის საზაფხულო გასტროლები 29 ივნისს წარმატებით დაიწყო ქ. ფოთში. 14 დღის მანძილზე რვა დასახელების სხვადასხვა სპექტაკლი იხილეს მაყურებლებმა. მათ შორის „სიმღერა თბილისზე" (კომპოზიტორი შ. მილორავა. დრამატურგი ლ. ჭუბაბრია), „შესანიშნავი სამეული" (კომპოზიტორი ი. შატუნოვსკი. დრამატურგი ნ. შატუნოვსკი), „მეკარე" (კომპოზიტორი შ. კოკუა. დრამატურგი ნ. ხუნწარია). „სტუდენტები" (კომპოზიტორი ნ. ნასიძე, დრამატურგი ნ. ხუნწარია), „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ" (კომპოზიტორი შ. აზმაიფარაშვილი. ლიბრეტო პ. გრუზინსკისა). „ცირკის პრინცესა" (კომპოზიტორი ი. კალმანი. ქართული ტექსტი მ. ლებანიძის). „მონმარტრის ია" (კომპოზიტორი ი. კალმანი. ქართული ტექსტი დ. გაჩეჩილაძისა).

12 ივლისს ფოთის „ვოდნიკის" სტადიონზე მრავალათასიანი მაყურებლის წინაშე თეატრის კოლექტივმა დიდი დასკვნითი კონცერტით შეაჯამა თავისი მუშაობა და გამოეთხოვა გულთბილ მაყურებელს. ამ პერიოდში თეატრი პარალელურად მოემსახურა ცხაკაიასა და ლანჩხუთს.

3 ივლისს უკვე სტუმართმოყვარე. ლამაზი გურია (მახარაძე) მასპინძლობდა თეატრის კოლექტივს. მწვანე ოქროს გმირები 29 ივლისამდე ყოველ ნაბიჯზე იყვნენ თეატრის შემოქმედებითს ცხოვრებაში ჩაბმულნი. არ დარჩენილა არცერთი სოფელი. სარაიონო პუნქტი. რომლისთვისაც თეატრს არ გაეწია მომსახურება.

29 ივლისიდან 8 აგვისტომდე ესტუმრა თეატრი თეატრალური ტრადიციების დიდ კერას — ზესტაფონს. პარალელურად — ჭიათურას. ორჯონიკიძეს. თერჯოლას. 50 ათასზე მეტი მაყურებელი გახდა მოწმე და უშუალო მონაწილე აღნიშნული თეატრის მღელვარე სპექტაკლებისა. თეატრი ყოველნაირად შეეცადა ორი წლის შემოქმედებითი პროცესის შედეგი უნაკლოდ გაეცნო მაყურებელთათვის.

დრამატურგების. რეჟისორების. მხატვრების. მსახიობების. ბალეტმეისტერების. ქორმეისტერების ფიქრსა და ნააზრევს დიდი გულისხმიერებით ყურს უგდებდნენ ქარხნებში. გაწლილ მინდვრებზე. ჩაის პლანტაციებში — საშეფო კონცერტებზე. გასტროლებს თეატრის კოლექტივი ყოველთვის დიდი პასუხისმგებლობით ეკიდება და ამჯეოადაც ასე იყო. მაყურებელთა ობიექტურობამ ბევრი მწვავე საკითხი წამოაყენა.

გასტროლები 8 აგვისტოს დასრულდა. რის შემდეგ თეატრის კოლექტივი ერთ თვეს ისვენებდა. 11 სექტემბერს ვ. აბაშიძის სახელობის სახელმწიფო თეატრმა ახალ შენობაში დაიწყო თავისი 39-ე სეზონი.

ერთი წელიც და... თეატრს განზრახული აქვს დიდი შემოქმედებითი აღმავლობით შეხვდეს მეორმოცე საიუბილეო სეზონს.

სომხური დრამის თეატრის გასტროლები

ივლისის პირველ ნახევარში წარმატებით დამთავრა თავისი 107-ე სეზონი შაუმიანის სახელობის თბილისის სომხურმა თეატრმა და სავასტროლოდ გაემგზავრა.

წლევანდელი გასტროლები თეატრისათვის იყო რთული და პასუხსაცემი. რთული იმიტომ, რომ ძოკლე დროის განმავლობაში თეატრს უნდა შემოევლო სამი რესპუბლიკა: საქართველო, სომხეთი, რუსეთის ფედერაციის 8 ქალაქი და 26 სოფელი. 72 დღის განმავლობაში თეატრი უნდა მომსახურებოდა ახალციხის, ახალქალაქის, ბოგდანოვკის, კიროვაკანის, როსტოვის, სოხუმის, გუდაუთის, ოჩამჩირის და შამშადინსკის. როსტოვის, სოხუმის რაიონების სოფლებს. თეატრის კოლექტივმა აჩვენა მათ 89 სპექტაკლი. გასტროლების მნიშვნელობა იზრდებოდა აგრეთვე იმით, რომ შაუმიანის თეატრს პირველად მოუხდა ვასკენა ამიერკავკასიის ფარგლებს იქით. როსტოვმა. სადაც მრავალი საინტერესო თეატრია. ამ ქალაქმა, სადაც ჩადიან ჩვენი ქვეყნის საუკეთესო შემოქმედებითი კოლექტივები. გამოიჩინა დიდი ინტერესი შაუმიანის თეატრის კოლექტივისადმი.

შაუმიანის სახ. სომხური დრამის თეატრი როსტოვის მომხოხენი მაყურებლის ნიხაშე წარსდგა. თეატრის ბოლო დროს საკმაოდ საინტერესო რეპერტუარით: სომხური რეალისტური დრამატურგის ფუძემდებლის გაბრიელ სუნდუკიანის „ხათაბალა“ და „პეპო“, სომხური დრამატურგის კლასიკოსის ა. შირვანზადეს „ნანგრევებზე“. ქართველი კლასიკოსის ა. ყაზბეგის „მამის მკვლელი“, ფ. შალვრის „ვეჩაგობა და სიყვარული“. აგრეთვე ა. ადამიანის „ელნარის წყარო“. ს. მანველიანის „ბალების სიმღერა“. დემირჩიანის ისტორიული პიესა „ვარდანანქი“ და სხვა.

მაყურებლებით სავსე დარბაზი. საინტერესო შეხვედრები მაყურებლებთან. დადებითი რეცენზიები პრესის ფურცლებზე. მოწმობს თუ რა მაღალ დონეზე ჩატარდა შაუმიანის სახ. სომხური დრამის თეატრის გასტროლები როსტოვში.

აი რამდენიმე მაგალითი: სპექტაკლ „პეპოს“ შესახებ რეცენზიაში ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი ა. ტაბახიანი წერდა: „პიესა „პეპო“ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწარმოებია სომხური კლასიკური დრამატურგიისა და სასიხარულოა, რომ თეატრის კოლექტივმა მაყურებლამდე მიიტანა მართალი მშრომელი ადამიანების ბრძოლის პათოსი, მათი მაღალი იდეალები“.

განსაკუთრებული წარმატება ჰქონდა თეატრს მზიური აფხაზეთის ქალაქების: სოხუმის, გუდაუთის, ოჩამჩირის მაყურებლებთან შეხვედრებში.

ყველა სპექტაკლი ხალხით სავსე დარბაზში მიმდინარეობდა. როგორც ქ. როსტოვში მაყურებელი მოხიბლა მსახიობების შესანიშნავმა თამაშმა. ესენი არიან: საქართველოს და სომხეთის სახალხო არტისტი დორი ამირბეკიანი. საქართველოს და სომხეთის დამსახურებული არტისტები: ე. სტეპანიანი. ს. შეკოიანი. ა. კადგეორიანი. რ. პაპოვიანი. საქართველოს დამსახურებული არტისტები: ა. ყამკოჩიანი. ც. ვრუირ. რ. სიმონიანი. მსახიობთა ძველი თაობის წარმომადგენლები ნ. თუმანიანი და ა. კოჩარიანი. ახალგაზრდა მსახიობები რ. ოვანესიანი. ა. სანოსიანი. ს. ეგიზარიანი და სხვა.

თეატრის მსახიობები იყვნენ კოლმეურნეობების საპატიო სტუმრებიც: სასოფლო კლუბებში თეატრმა მოაწყო 30-მდე სპექტაკლი და ყველა დიდი წარმატებით ჩატარდა. განსაკუთრებით საინტერესო იყო შეხვედრა მიასნიკოვის სახელობის კოლმეურნეობებთან, კულტურის სახლის გახსნასთან დაკავშირებით. თეატრი მიასნიკოველებს დაეხმარა სცენის ელექტროფიცირებაში. კულტურის სახლის კეთილმოწყობაში.

კულტურის სახლის გახსნის დღეს შაუმიანის სახ. თეატრმა წარმოადგინა სპექტაკლი „ელნარის წყარო“. წარმოდგენის შემდეგ კოლმეურნეებმა მხურვალე მადლობა გადაუხადეს თავიანთ შეფებს ყურადღებისა და კარგი სპექტაკლებისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცალკე უნდა აღინიშნოს თეატრის რეჟისორის საქართველოს და სომხეთის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის ა. აბრამიანის (დამდგმელი სპექტაკლებისა „ეპპო“, „ელნარის წყარო“ და სხვა) წარმატება, რომელმაც თეატრალური საზოგადოებრიობის სიმპათია დაიმსახურა, როსტოვის პრესამ დადებითად შეაფასა მისი შემოქმედებითი შრომა.

ასეთივე წარმატება ხვდა წილად თეატრის დამდგმელ რეჟისორს, საქართველოს დამსახურებულ არტისტს უმიკიანს და თეატრის მთავარ მხატვრის რ. ნალბანდიანს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კასული სეზონი თბილისის შაუმიანის სახელობის სახელმწიფო ტრამატულმა თეატრმ წარმატებით დაამთავრა, როგორც შემოქმედებითად, ისე ფინანსიურად.

ახლა თეატრის წინაშე დიდი ამოცანაა, რაც შეიძლება საინტერესოდ დაიწყოს თეატრალური სეზონი, რომ დაკმაყოფილოს თბილისელი მაყურებლის გაზრდილი მოთხოვნილებანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოზარდ მაყურებელთა რუსული თეატრის

გასტროლები

მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო რუსული თეატრი 1965 წლის 10-დან 24 სექტემბრამდე საგასტროლოდ იმყოფებოდა ქ. სოხუმში.

გასტროლებზე თეატრმა წაიღო 7 სპექტაკლი. მათ შორის უფროსებისთვის: „104 ფურცელი სიყვარულის შესახებ" — ვ. რადზინსკის. „სამწუთიანი საუბარი" — ვ. ლევადოვის და „სასტუმროს დიასახლისი" — კ. გოლდონის. სასკოლო ასაკის ბავშვებისათვის: „ჭინჭრაქა" — გ. ხახუცრიშვილის. „სასწაული შუადღისას" — გ. ბაძლინის. „ბროლის ქოში" — გ. გაბბეს და „ექიმი აიბოლიტი" — ვ. კოროსტილევის.

თეატრმა ისე შეარჩია საგასტროლო რეპერტუარი, რომ დაეკმაყოფილებინა, როგორც მოზრდილები, ისე ყველაზე პატარები. წარმოდგენების თემა მრავალფეროვანი იყო: ზღაპარი — სადაც მოცემული ეაქაცობა, გამბედაობა, სამშობლოს სიყვარული, მეგობრობა, სასკოლო თემა: სადაც მოთხრობილია როგორც ბავშვებზე. ისე უფროსი კლასელებზე. სპექტაკლებში წამოჭრილი იყო ისეთი საკითხებიც, რომელნიც აღელვებს ჩვენს ახალგაზრდობას — ცხოვრებაში მათი ადგილის შესახებ. პროფესიის არჩევა, პირველი სიყვარული, ოცნება ნამდვილ დიდ სიყვარულზე.

რუსული მოზარდ მაყურებელთა თეატრის სპექტაკლებმა დაინტერესა და აღელვა მაყურებელი. ყველა სპექტაკლი ჩატარდა ხალხით სავსე დარბაზში.

პრესა სისტემატურად ეწმაურებოდა თეატრის საგასტროლო სპექტაკლებს და დადებით შეფასებას აძლევდა მათ. აღნიშნული იქნა საინტერესო რეჟისორული ნამუშევარი რ. შაფთოსშვილის სპექტაკლში „104 ფურცელი სიყვარულის შესახებ" და კ. ვოლგუსტის სპექტაკლში „სამწუთიანი საუბარი". განსაკუთრებით აღინიშნა ხელოვნების დამსახურებული მოღვაწეს ი. გვინჩიძის და რეჟისორ კ. ვოლგუსტის ნამუშევარი სპექტაკლში — „ჭინჭრაქა".

მაყურებელმა გულთბილად მიიღო რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები ა. იუდინა, ო. ბელენკო, ვ. აგალაროვა, ი. სუბანოვი. მსახიობები: გ. პრიაუხიკოვა, ს. ევანგელიდი, ლ. ზაკრევსკი, ი. აივაზოვი, ლ. სოლნცევი, ფ. სტეპანი, ს. ვინოგრადოვი.

პაოლელურად თეატრი მოემსახურა აფხაზეთის სხვა ქალაქებსაც, გამართა საშფო წარმოდგენები მესაზღვრეებთან, რისთვისაც თეატრმა მადლობა დაიმსახურა.

სპექტაკლებზე მორიგეობდა ქ. სოხუმის სკოლების აქტივი. ისინი თვალყურს ადევნებდნენ წესრიგს. აგროვებდნენ შთაბეჭდილებების ფურცლებს. გასტროლების დამთავრების შემდეგ კი აქტიური მონაწილეობა მიიღეს შეხვედრაში, რომელიც მოაწყო სოხუმის პიონერთა და მოსწავლეთა სახლმა და თეატრის შემოქმედებითმა კოლექტივმა.

რუსული მოზარდ მაყურებელთა თეატრი გასტროლების წარმატებით ჩატარებისათვის დაჯილდოდა აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს სიგელით.

მთელი გასტროლების მანძილზე თეატრი მოემსახურა 15 ათას მაყურებელს.

სოხუმის შემდეგ თეატრმა გასტროლები გააგრძელა გაგრაში, ოჩამჩირეში, გალში, ზუგდიდში, ტყვარჩელში, სადაც ასევე გულთბილად შეხვდნენ.

КРАТКАЯ АННОТАЦИЯ

Тбилиси — 1965 г.

Редактор **Шалва Ахандзе**

Редакционная коллегия:

Н. Гурабанидзе, О. Эгадзе, Д. Мчедлидзе, Д. Антадзе, Ш. Ахандзе, В. Годзиашвили, ли, А. Хорава, Д. Джанелидзе. В. Жгенти, Н. Швангирадзе, Г. Цицишви-

НОВЫЙ ТЕАТРАЛЬНЫЙ СЕЗОН

Передовая статья журнала посвящена новому театральному сезону. Репертуарный план театров обещает много интересных постановок. В центре внимания творческих коллективов республики три знаменательные даты — 800-летие со дня рождения Ш. Руставели, 50-летие Октябрьской революции и 100-летие со дня рождения В. И. Ленина — достойная встреча которых является делом чести наших театров.

Гости Тбилиси

В журнале напечатаны отчеты о встречах с коллективами, гастролировавших в Тбилиси театров и с деятелями советского искусства.

Театральное общество республики организовало диспут-разбор спектаклей Кутайсского драматического театра им. Л. Месхишвили. Докладчик В. Кикнадзе, Н. Урушадзе, В. Жгенти отметили высокий профессиональный уровень его спектаклей, верность традициям и желание искать новые формы сценической выразительности.

В прениях выступили М. Гижимкрели, А. Шалуташвили, И. Вакели, Н. Швангирадзе, Л. Милорава, А. Цулукидзе. С ответным словом выступил руководитель Кутаисского театра нар. арт. СССР А. Васадзе.

—

В сентябре с. г. в Тбилиси проходили гастроли Рижского русского драматического театра. Театральное Общество и Министерство культуры ГССР организовали традиционную встречу — разбор спектаклей театра. Выступившие на встрече театроведы Э. Гугушвили и Н. Урушадзе, режиссер С. Челидзе и другие выделили лучшие работы театра: «Егор Булычев и другие», М. Горького, «Рассудите нас люди» Андреева, «Вестсайдская история» Лорентса, отмечая вдумчивую работу режиссуры и исполнительское мастерство актеров театра.

От имени посланцев театральной Латвии выступил главный режиссер театра О. Кац, рассказавший о жизни театра и его планах на будущее.

ეროვნული ბიბლიოთეკა

—

Один из крупнейших режиссеров страны Г. А. Товстоногов гостил в Тбилиси и знакомился с искусством его лучших театров. Театральное Общество Грузии организовало встречу театральных деятелей Тбилиси с прославленным мастером советского театра. Тема Беседы: «Театр и современность».

Г. А. Товстоногов поделился своими впечатлениями от постановок тбилисских театров и особо остановился на проблемах, волнующих всех деятелей искусства-жизнеспособность театра и тема современности в театре, средства сценической выразительности театра на современном этапе его развития, о традиции и новаторстве, о культурном уровне наших зрителей и т. д.

Г. А. Товстоногов ответил на многочисленные вопросы, заданные ему присутствующим.

Гастрольные поездки тбилисских театров

В номере напечатаны корреспонденции о гастрольных поездках тбилисских театров в городе и за пределы республики.

Тбилисский театр оперы и балета им. З. Палиашвили летом текущего года показывал свое искусство в городе на Неве. Как и в прошлые приезды, спектакли театра, в особенности балетные, пользовались большим успехом у ленинградских зрителей.

—

Драматический театр им. К. Марджанишвили выезжал в Кутаиси и Батуми. С этими городами связаны первые успехи театра в начале его деятельности. В свой последний приезд марджановцы показали «Меч Кахабери» Н. Какабадзе, «Солнце мертвого». Г. Шатберашвили, «Мать» К. Чапека с В. Анджапаридзе в заглавной роли, «Чья, чья;!» о. Чхеидзе и др., вызвавшие живой отклик зрителей.

—

В Сочи и Сухуми проходили гастроли Тбилисского театра им. А. Грибоедова в середине сезона, а летом грибоедовцы выступали перед одесскими зрителями.

Удачно составленный репертуар, прекрасное актерское исполнение и постановочная культура спектаклей способствовали успешному проведению гастролей театра.

—

Свой 107-й сезон Тбилисский театр армянской драмы им. С. Шаумяна закончил гастрольной поездкой в города Грузии, Армении и Российской федерации. Завершающий этап гастролей — Ростов на Дону. Спектакли театра пришлись по душе зрителям всех трех республик, пресса которых дает высокую оценку работе театра.

ეროვნული ბიბლიოთეკა

—

В Сухуми и других городах Абхазии гостил Тбилисский русский театр Юного зрителя. В гастрольный репертуар театр включил 7 своих лучших пьес для взрослых, так и для юных зрителей. Театр обслужил около 15 тысяч зрителей.

—

Большое турне по городам и районам Грузии совершил театр Музыкальной комедии им. В. Абашидзе. Десятки спектаклей 8 наименований просмотрело более 50 тысяч зрителей различных уголков республики.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სარჩევი

ახალი თეატრალური სეზონი (მოწვნილ) 3

თბილისში ჩამოსული სტუმრები: 5

- საქართველოს თეატრალური საზოგადოების შეხვედრა ლადო მესხიშვილის სახელობის თეატრის კოლექტივთან . . . . . .
- რიგის რუსული დრამის თეატრი თბილისში 8
- თეატრალურ მოღვაწეთა შეხვედრა სსრკ სახალხო არტისტ გ. ა. ტოვსტონოგოვთან . 11

ზ. ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის აკადემიური თეატრი ლენინგრადში 15

კ. მარჯანიშვილის სახელობის სახ. თეატრის გასტროლები 17

გრიბოედოვის სახელობის თეატრი ქ. სოჭში და ქ. ოდესაში 20

ვ. აბაშიძის სახელობის სახელმწიფო მუსიკალური კომედიის თეატრი 22

თბილისის მაყურებლის სახელობის სახელმწიფო სომხური დრამის თეატრის გასტროლები . . 23

ბოზარდ მაყურებელია რუსული თეატრის გასტროლები 25

ეროვნული ბიბლიოთეკა

СОДЕРЖАНИЕ

Новый театральный сезон (передовая) 3

Гости Тбилиси: 5

Встреча с коллективом кутаисского театра им. Л. Месхишвили . . .

Рижский театр русской драмы в Тбилиси 8

Встреча театральных деятелей Тбилиси с нар. арт. СССР Г. А. Товстоноговым 11

Гастрольные поездки Тбилисских театров:

Гастроли Тбилисского театра оперы и балета им. З. Палиашвили в Ленинграде . 15

Гастроли театра им. К. Мардканишвили 17

Театр им. Грибоедова в г. Сочи и г. Одессе. 20

Гастроли Тбилисского театра Армянской драмы 22

Гастроли Тбилисского русского ТЮЗ-а 23

Гастроли Тбилисского театра Музыкальной комедии им. В. Абашидзе . . . 25

ეროვნული ბიბლიოთეკა

ТОГ

ВЕСТНИК

ТЕАТРАЛЬНОГО ОБЩЕСТВА ГРУЗИИ

(на грузинском языке)

Тбилиси—1965

№ 3 (32)

ფასი
Цена 18 კაპ.
коп.

გადაეცა წარმოებას 6|XI 1965 წ.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 19|XI 1965 წ. ნაბეჭდ ფორმათა რაოდენობა 2.

საქართველოს თეატრალური საზ.-ბის სტამბა. თბილისი, გორკის ქ. № 3

Типография Театрального Общества Грузии. Тбилиси, ул. Горького № 3

Заказ 4029 УЭ 06741 Тираж 200

ეროვნული
ბიბლიოთეკა